

ეროვნულ უმცირესობათა მართვის
ინსტიტუტები საქართველოში:

მიმოხილვა

გიორგი სორდია

ECMI-ის სამუშაო მოხსენება # 43

სექტემბერი 2009

ECMI-ის სამუშაო მოხსენება # 43
უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)
დირექტორი: დოქტორი ტოვ ჰ. მალოი

საავტორო უფლებები 2009 წლისთვის ეკუთვნის უმცირესობათა საკითხების
ევროპულ ცენტრს (ECMI)
გამოქვეყნებულია 2009 წლის სექტემბერში უმცირესობათა საკითხების
ევროპული ცენტრის მიერ (ECMI)

ISSN: 1435-9812

სარჩევი

| | |
|--|----|
| I. შესავალი | 4 |
| 1. უმცირესობებთან დაკავშირებული თავდაპირველი ინსტიტუციური სისტემა..... | 7 |
| 2. ინსტიტუციური მოწყობა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ..... | 10 |
| II. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციასთან დაკავშირებული ინსტიტუტები აღმასრულებელ დონეზე | 16 |
| 1. სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში (სახელმწიფო მინისტრის აპარატი კონფლიქტების მოგვარების საკითხში)..... | 16 |
| 2. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო..... | 21 |
| 3. სახალხო დამცველი და მასთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო..... | 28 |
| 4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო..... | 29 |
| 5. კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო..... | 33 |
| 6. სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში..... | 35 |
| 7. საგარეო საქმეთა სამინისტრო..... | 36 |
| 8. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო..... | 37 |
| 9. შინაგან საქმეთა სამინისტრო..... | 38 |
| III. ინსტიტუტები საკანონმდებლო დონეზე | 41 |
| დასკვნა | 45 |
| დანართი 1 | |
| ინსტიტუტები აღმასრულებელ დონეზე, რომლებიც დაარსდა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მაგრამ გაუქმდა სამთავრობო ცვლილებების შედეგად..... | 48 |
| 1. სახელმწიფო მინისტრის ეროვნული თანხმობის საკითხებში აპარატი..... | 48 |
| 2. პრეზიდენტთან არსებული ინტერ-ეთნიკური ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტი..... | 49 |
| დანართი 2 | |
| სამთავრობო ცვლილებები ვარდების რევოლუციის შემდგომ..... | 51 |
| დანართი 3 | |
| "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მთავრობის შემადგენლობაში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული სტრუქტურების შექმნა და გაუქმება..... | 56 |
| დანართი 4 | |
| შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია..... | 57 |

I. შესავალი

2003 წლის ნოემბერის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. საქართველოს ახალი მთავრობა მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით აქტიურად შეუდგა რეფორმების გატარებას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებში ინტეგრაციის გზას, რისთვისაც გადაიდგა კიდევ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები მათ შორის მთავრობის ინსტიტუციური მოწყობის კუთხით. განხორციელდა რამდენიმე სამინისტროს რადიკალური რეფორმირება, კერძოდ იუსტიციის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების. სტრუქტურული რეფორმები ასევე მიმდინარეობს სხვა დანარჩენ სამინისტროებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში.

როგორც რეფორმის პროცესის ნაწილი, ქართული საზოგადოების სამოქალაქო ინტეგრაცია, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობასა და მათ დაცვას გულისხმობს, ოფიციალურ დონეზე სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტად იქნა მიჩნეული. გადაწყვეტილების მიმღებ უმაღლეს ინსტიტუციებში ხშირად ხდება საზგასმა, ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს მშენებლობის საკითხში სამოქალაქო ინტეგრაციის მნიშვნელობაზე. ამ თემაზე ხშირად საუბრობს ასევე პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფოს სხვა უმაღლესი წარმომადგენლები. პრაქტიკული თვალსაზრისით კი უკანასკნელ პერიოდამდე პროგრესი ამ კუთხით არათანმიმდევრული იყო. წინსვლები შეინიშნება ინსტიტუციური მოწყობის, სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

2003 წლის შემდგომ ჩამოყალიბებულმა მთავრობამ შექმნა მრავალი სტრუქტურა, რომელიც უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობდა. თავდაპირველად, (2004 წლის შემდეგ) ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო მინისტრის აპრატი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, თუმცა, შემდგომში 2008 წელს, მთავრობაში განხორციელებული ცვლილებების გამო, ამ საკითხებზე

პასუხისმგებლობა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაეკისრა. ამ სტრუქტურებთან ერთად, 2008 წლის გაზაფხულიდან, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებულმა შემწეობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა საბჭომ და პრეზიდენტის მრჩეველმა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, დაიწყო აქტიური მუშაობა აღნიშნულ სფეროში. მათი აქტუალური შედეგად შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი – შემწეობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, რომელიც მომავალი ხუთი წლის პერიოდზე სპეციფიური აქტივობებით გაწერილ სამოქმედო გეგმასთან ერთად, 2009 წლის 8 მაისს დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ.

ამავდროულად, ახლახანს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისათვის განვითარების პროგრამები იქნა შემუშავებული. ეს პროგრამები მოიცავს განვითარების გეგმებს იმ რეგიონებისთვისაც, სადაც ეროვნული უმცირესობები არიან განსახლებული. ასევე, საქართველოს პარლამენტმა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩოს კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, რომელიც ძალაში 2006 წლის აპრილში შევიდა. ამჟამად, განხილვის პროცესშია მეორე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო შეთანხმების ხელმოწერისა და რატიფიცირების საკითხი - ევროპული ქარტია რეგიონალურ და უმცირესობათა ენების შესახებ – რომელიც ევროპის საბჭოს წინაშე საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს. საკანონმდებლო აქტივობების კუთხით, აღსანიშნავია ასევე კანონი დეპორტირებული მესხების რეპატრაციის შესახებ, რომელიც პარლამენტმა 2007 წლის ივლისში მიიღო. დამატებით, იმ საკანონმდებლო აქტებთან ერთად, რომლებიც უმცირესობათა მმართველის უკეთესი ჩარჩოს შექმნას ისახავენ მიზნად, აღმასრულებელ სტრუქტურებში მთელი რიგი ახალი უწყებები და სამსახურები შეიქმნა. მათ პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში.

თუმცა, ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში აღნიშნული წინსვლის მიუხედავად, რომელიც წინა მთავრობებთან შედარებით საგრძნობლად თვალშისაცემია, სერიოზული ნაკლოვანებები

შეინიშნება პრაქტიკული შესრულების კუთხით. მაშინ როდესაც, საქართველო მნიშვნელოვანწილად ასრულებს ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, – თუმცა რამდენიმე გამონაკლისით, კერძოდ კი საუბარია რეგიონალური და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის ხელმოწერასა და რატიფიცირებაზე და ეროვნული უმცირესობების შესახებ კანონზე – კვლავ რჩება გასაგვლედი მნიშვნელოვანი გზა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ხელშეკრულებებისა და სხვა ვალდებულებების ეფექტური შესრულება. ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც ხელს უშლის მთავრობას აღნიშნული ხელშეკრულებების და კანონების აღსრულებაში არის იმ სახელმწიფო სტრუქტურების შეზღუდული შესაძლებლობი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ინტეგრაციასა და უმცირესობათა საკითხებზე. კონკრეტულად კი, მთავარი პრობლემა, რომელიც გასული ორი/სამი წლის განმავლობაში წარმოიშვა, არის ამ ინსტიტუტების არასტაბილურობა. მათზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა მანდატის ხშირი ცვლა და პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბება. მოვალეობები ნათლად არ იყო განაწილებული ინსტიტუტებს შორის, რაც მათ სრულყოფილ ფუნქციონირებას უშლიდა ხელს. ამასთანავე, კოორდინაციის დონე ინსტიტუტებს შორის დაბალია, მათ ეფექტურ საქმიანობას კი დაბალი ხელფასები და არასაკმარისი დაფინანსება აფერხებდა.

წინამდებარე სამუშაო მოხსენების მიზანია განიხილოს ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მოიცავს სამოქალაქო ინტეგრაციისა და უმცირესობათა დაცვის საკითხებს საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ის ასევე მიმოიხილავს სახელმწიფო სტრუქტურებს, როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო დონეზე, რომლებიც დაკავშირებული არიან სამოქალაქო ინტეგრაციასთან და უმცირესობათა საკითხებთან. მოხსენება მიმოიხილავს ინსტიტუციურ პრობლემებს, რომელიც სამოქალაქო ინტეგრაციას შეეხება, მოკლედ წარმოადგენს ისტორიასა და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობებს და გაანალიზებს მიმდინარე ინსტიტუციური მოწყობის პრობლემებს. აღნიშნული მოხსენებისთვის კვლევა კონსულტაციებისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩატარდა, ამ საკითხებში ჩართული უწყებების წარმომადგენლებთან, როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო დონეზე. ასევე გამოყენებულ იქნა იმ

უწყებების ოფიციალური დოკუმენტაცია, ძირითადად წესდებები, დადგენილებები, იურიდიული დოკუმენტები და რეგულაციები, რომლებიც კვლევის თემატიკასთან არის დაკავშირებული.

მოსხენება სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი განიხილავს იმ ინსტიტუციური სტრუქტურების წარმოშობას, რომლებიც უმცირესობათა საკითხებზე მუშაობდნენ შევარდნაძის მმართველობის დროს, მიმოიხილავს ინსტიტუციური ცვლილებებს და მთავრობის კაბინეტის ცვლილებების საკითხს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ასევე შეეხება 2004 წლის შემდგომ მთავრობაში განხორციელებულ ყველა ფართომასშტაბიან ცვლილებას, რომელიც ცხრაჯერ იქნა დაფიქსირებული. მეორე ნაწილში საუბარი შეეხება უმცირესობათა პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრუქტურების ამჟამინდელ მანდატებსა და საქმიანობას, ხოლო მესამე ნაწილი წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას უმცირესობებთან დაკავშირებით. მოსხენება შეიცავს ოთხ დანართს: პირველი აღწერს რამდენიმე დროებით უწყებას, რომლებიც არსებობდნენ მოკლე პერიოდის განმავლობაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და ორ გრაფიკულ ცხრილს, რომლებიც ასახავენ სამთავრობო უწყებების ინსტიტუციურ განვითარებას 2004 წლიდან დღემდე, მეოთხე დანართში და წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შემწენარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია.

1. ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული თავდაპირველი ინსტიტუციური სისტემა

პირველი ნაბიჯები საქართველოში უმცირესობათა მმართველობისათვის მდგრადი ინსტიტუციური მოწყობისათვის ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს (1992-2003 წლები) გადაიდგა. საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, გამომდინარე იქედან, რომ არ გააჩნდა სახელმწიფო მმართველობის გამოცდილება და ამავე დროს ატარებდა ეთნონაციონალისტურ პოლიტიკას, არანაირი ძალისხმევა არ მიუძღვარდა უმცირესობათა მმართველობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების შექმნის საკითხში. შედეგად, გამსახურდიას ხისტმა პოლიტიკამ და რიტორიკამ

ეთნიკური უმცირესობები უუფლებოდ დატოვა და იმ პერიოდისათვის უმცირესობებით დასახლებული რეგიონები პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა.

პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმალიზაცია დაიწყო მას შემდეგ რაც, 1992 წელს მოხდა რეჟიმის ცვლილება და ხელისუფლებაში შევარდნაძე მოვიდა. ამ პერიოდისთვის, ერთ-ერთი პირველი ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნდა სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის სპეციალური სამსახური იყო. სახელმწიფო საბჭო დროებით საკონსულტაციო სტრუქტურას წარმოადგენდა, რომელიც 1992 წლის შემოდგომის არჩევნებამდე შეიქმნა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები და პოლიტიკური პარტიების თვალსაჩინო წევრები. ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურს ხელმძღვანელობდა ალექსანდრე კავსაძე, უშიშროების სამსახურის ყოფილი ოფიცერი. თავდაპირველად, სამსახურის მანდატით გათვალისწინებული იყო გამსახურდიას მმართველობის პერიოდში განხორცილებული ყველა იმ ძირითადი საქმეების გამოძიება, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევას შეეხებოდა. ასევე, გამოძიებულ უნდა ყოფილიყო ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შელახვის ფაქტებიც. სამსახურმა მუშაობა განაგრძო არჩევნების შემდგომაც და ფუნქციონირებდა 1995 წლამდე. იმ დროისათვის ასობით ეთნიკური უფლებების დარღვევით მოტივირებული საქმე იქნა გამოვლენილი და აღწერილი, უმეტესი მათგანი ეთნიკურ ოსებს შეეხებოდა.¹ მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის სფეროსთან დაკავშირებულ საკონონმდებლო ჩარჩოზე მუშაობის დაწყება იყო. სახელმწიფო საბჭომ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილების დამტკიცება არ მომხდარა, მსგავსი დადგენილების შემუშავება მიანიშნებდა საქართველოს ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოლიტიკის შეცვლის სურვილზე, გამსახურდიას რეჟიმის ეთნო-ცენტრისტული მიდგომებიდან, კანონის უხეინაესობასა და ტოლერანტული ქვეყნის მშენებლობის მიმართულებით.

¹ ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის და ყოფილი სახელმწიფო საბჭოს წევრი, 2007 წლის დეკემბერი.

1992 წელს საქართველოს პირველი პარლამენტის არჩევის შემდეგ დაფუძნდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, მის თავმჯდომარედ კი დეპუტატი და ცნობილი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე იქნა არჩეული. 1995 წელს კი შეიქმნა მესხების საკითხებზე მომუშავე სპეციალური სამთავრობო კომისია, რომლის თავმჯდომარედ კი სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე იქნა დანიშნული. თუმცა, როგორც ამ უწყების ყოფილი წევრები აცხადებენ, სინამდვილეში არ არსებობდა რეალური პოლიტიკური ნება ამ საკითხის გადაჭრის და როგორც ჩანს, ძირითადად კომისიის მიზანს წარმოადგენდა მესხების საკითხის შეგნებული გაჭიანურება.²

მორიგი ინსტიტუტი, რომელიც ეროვნული უმცირესობების საკითხებს შეეხებოდა, საქართველოს უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭო იყო, რომელიც შეიქმნა 1997 წელს რუსუდან ბერიძის ხელმძღვანელობით. აღნიშნული უწყება 2002 წლამდე ფუნქციონირებდა, მასში შედიოდა ეროვნული უმცირესობების საკითხების სპეციალური განყოფილება, ალექსანდრე გერასიმოვის ხელმძღვანელობით. ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭო გამოირჩეოდა ეფექტურობით ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დარღვევათა საკითხში ინფორმაციის შეგროვების კუთხით. ეს უწყება თავისი სტატუსის გამო, ანუ უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში ფუნქციონირებისათვის, იმ პერიოდისათვის, უმცირესობათა საკითხების კუთხით მთავარ სამთავრობო ორგანოს წარმოადგენდა. უწყებას არაფორმალურად საკონსულტაციო სტრუქტურის დატვირთვა ჰქონდა და ეროვნულ უმცირესობების ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის შუამავლის როლს ასრულებდა.

განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, მცდელობა დაეფუძნებინათ სტრუქტურები და ინსტიტუტები, რომლებიც უმცირესობების საკითხებზე იქნებოდნენ პასუხისმგებელნი, და ასევე იმ ფაქტის მიუხედავად, რომ შევარდნაძემ ოფიციალურად დაჰგმო გამსახურდიას პერიოდში მომხდარი ძალადობა და არატოლერანტული მიდგომები, არანირი თანმიმდევრული პოლიტიკა, ან გრძელვადიანი სტრატეგია უმცირესობათა ინტეგრაციისა და

² იქვე.

დაცვის თვალსაზრისით შევარდნაძის თერთმეტწლიანი მმართველობის პერიოდში არ შემუშავებულა. უფრო მეტიც, დაიწყო უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მარგინალიზაციის პროცესი, ეკონომიკური წინსვლები იმ დროისათვის ძირითადად ქვეყნის ურბანულ ნაწილში შეინიშნებოდა, ვიდრე რეგიონებში. განსაკუთრებით ის რეგიონები სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ეროვნული უმცირესობები, კერძოდ ჯავახეთი და ქვემო ქართლის ნაწილი, ბედის ანაბარად იყვნენ მიტოვებულნი, რის გამოც ისინი დახმარებისათვის ხშირად მიმართავდნენ მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს. საქართველოს უმცირესობათა წარმომადგენელმა მოსახლეობის ნაწილმა, ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას საბჭოთა კავშირის დაშლისთანვე ემიგრაციით უპასუხა. ემიგრაცია ძირითადად საკუთარი წარმოშობის ქვეყნებში განხორციელდა, როგორც ეს იყო რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, ოსი და ებრაელი მოსახლეობის შემთხვევაში. სხვები ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილირებას განიცდიდნენ, ამ კუთხით გამოირჩევა ოსები. ამ ტრანსფორმაციულმა პროცესებმა განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა საქართველოს ეროვნულ უმცირესობებზე და 1989 წლის ბოლო საბჭოთა აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 28%-ს ეროვნული უმცირესობები წარმოადგენდა. ეს მაჩვენებელი 2002 წლისათვის 16%-მდე დაეცა.

2. ინსტიტუციური მოწყობა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამ ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები. ყოველი ასეთი ცვლილება რეფორმის აუცილებლობით და საჭიროებით იყო დასაბუთებული, თუმცა ცვლილების სიხშირე მთავრობის არასტაბილურობაზეც მიუთითებს. 2009 წლის აგვისტომდე მინისტრთა კაბინეტი ცხრაჯერ იქნა შეცვლილი, რომელიც აღინიშნებოდა ხოლმე სამინისტროების სტრუქტურული რეორგანიზაციით, თუ კაბინეტის წევრების შეცვლით. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პირველი კაბინეტი 2004 წლის 17 თებერვალს დამტკიცდა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა თხუთმეტი

სამინისტრო და ოთხი სახელმწიფო მინისტრი. პირველი პოსტ-რეკონსტრუქციური მთავრობის შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

შინაგან საქმეთა სამინისტრო,
 უშიშროების სამინისტრო,
 საგარეო საქმეთა სამინისტრო,
 თავდაცვის სამინისტრო,
 ფინანსთა სამინისტრო,
 ეკონომიკის სამინისტრო,
 იუსტიციის სამინისტრო,
 ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო,
 ჯანდაცვის, შრომის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო,
 განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
 ენერჯეტიკის სამინისტრო,
 სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
 ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტრო,
 კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო,
 გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო,
 სახელმწიფო მინისტრი ეროვნული თანხმობის საკითხებში,
 სახელმწიფო მინისტრი ევრო-ინტეგრაციის საკითხებში,
 სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხში,
 სახელმწიფო მინისტრი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხებში.³

პირველი კაბინეტი ოთხი თვის მანძილზე ფუნქციონირებდა, მანამ სანამ არ მოხდა მისი რეორგანიზება 2004 წლის 10 ივნისს. გაუქმდა ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტრო და რეგიონალური განვითარებისა და ადგილობრივი მმართველობის სახელმწიფო მინისტრის აპარატი დაარსდა. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების გარდა, სამმა

³ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა, ანუ ე.წ. “მინისტრი პორტფელის გარეშე” მთავრობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით იქმნება ეროვნული მნიშვნელობის გარკვეული მიზნების შესრულებისათვის. სახელმწიფო მინისტრი არის მთავრობის წევრი, თუმცა სრულფასოვანი სამინისტროსაგან განსხვავებით მას შეზღუდული თანამშრომლები ეყვს.

მინისტრმა დაკარგა თანამდებობა. შვიდი თვის შემდეგ კი, 2004 წლის დეკემბერში, მთავრობამ უფრო მასშტაბური ცვლილებები განახორციელა, სამი სახელმწიფო მინისტრის აპარატი – მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, ეროვნული თანხმობის, რეგიონალური განვითარებისა და ადგილობრივი მმართველობის საკითხებში – გაუქმდა და ორი ახალი უწყება შეიქმნა: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეკონომიკური რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო შინაგან და უშიშიშროების სამინისტროების შეერთება და ერთ სტრუქტურად ჩამოყალიბება. ამ უკანასკნელი ცვლილების გამო, მნიშვნელოვანი საშტატო ცვლილებებიც განხორციელდა. მომდევნო ოთხი მინისტრთა კაბინეტის ცვლილებების შედეგად კი (2005 წლის 17 თებერვალი, 2006 წლის 24 ივლისი, 2007 წლის სექტემბერი და 2007 წლის 22 ნოემბერი), მინისტრთა კაბინეტმა შეინარჩუნა სტრუქტურული ფორმა და სამინისტროების რაოდენობა, თუმცა მთლიანობაში თოთხმეტმა მინისტრმა გადაინაცვლა სხვა და სხვა სამინისტროში, ან დაითხოვეს.

2008 წლის 31 იანვარს მინისტრთა კაბინეტის დათხოვნის შედეგად კი, კაბინეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის ახალი ტალღა დაიწყო. ორი ახალი სახელმწიფო მინისტრის პოსტი შეიქმნა. რეგიონალური განვითარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში, მაშინ როდესაც მანამდე არსებული ორი სახელმწიფო მინისტრის აპარატი გაუქმდა, კერძოდ კი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეფორმების კოორდინაციის საკითხებში. ამასთანავე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გარდაიქმნა სახელმწიფო მინისტრის აპარატად. უახლესი სტრუქტურული რეორგანიზაცია ამ მოხსენების წერის პერიოდისათვის (2009 წლის აგვისტო) განხორციელდა 2009 წლის 6 თებერვალს. შედეგად შეიქმნა ახალი სამინისტროები: სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების, რომელმაც ჩაანაცვლა გაუქმებული რეგიონალური განვითარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. დამატებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ლტოლვილთა და განსახლების საკითხებში კვლავ გარდაიქმნა სრულფასოვან სამინისტროდ.

2009 წლის 6 თებერვლის მინისტრთა კაბინეტის ცვლილებების შედეგად, წარმოიქმნა 15 სრულფასოვანი სამინისტრო და 3 სახელმწიფო სამინისტრის აპარატი:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
 კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო,
 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო,
 ენერგეტიკის სამინისტრო,
 სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
 თავდაცვის სამინისტრო,
 შინაგან საქმეთა სამინისტრო,
 ფინანსთა სამინისტრო,
 ეკონომიკური განვითარების სამინისტრო,
 ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო,
 საგარეო საქმეთა სამინისტრო,
 იუსტიციის სამინისტრო,
 ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო,
 ინფრასტრუქტურის და რეგიონალური განვითარების სამინისტრო,
 სასაქონლო ურთიერთობების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტრო,
 სახელმწიფო სამინისტრო ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში,
 სახელმწიფო სამინისტრო დიასპორის საკითხებში,
 სახელმწიფო სამინისტრო რეინტეგრაციის საკითხებში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მინისტრთა კაბინეტის ხშირი ცვლილებები, მთავრობის სისუსტეზე მიუთითებს. ამასთანავე, არც ერთი იმ მინისტრთაგანი, რომელიც დაინიშნა 2004 წელს პირველ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში, დღეისათვის არ ფლობს თავდაპირველ პოსტს. პირველი კაბინეტის მხოლოდ ორმა მინისტრმა შეინარჩუნა მინისტრის

თანამდებობა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კერძოდ გიორგი ბარამიძემ, რომელიც თავდაპირველად დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად და ამჟამად ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტს ფლობს და ნიკა გილაურმა, თავდაპირველად დაინიშნა ენერგეტიკის მინისტრად, ამ ეტაპზე კი პრემიერ მინისტრია.

ბიუროკრატის შემცირება, ეფექტური საჯარო სტრუქტურების შექმნა და რეფორმების წახალისება: არის ის მოტივაცია, რითიც მთავრობა ასახულებს ხშირ კაბინეტის ცვლილებებს. ამ ფაქტის განსამტკიცებლად ასევე ცდხადდება, რომ მთავრობა გადაწყვეტილების მიღების უკეთესი მოდელის მუდმივ ძიებაშია, ამიტომაც ცდილობს გამოსცადოს კაბინეტის ახალგაზრდა წევრები და მთავრობის სხვა თანამშრომლები. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, გარეშე დამკვირვებლების მტკიცებით, სამინისტროები იქმნება და უქმდება გარკვეული პოლიტიკური დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკური ლობირების გამო და მინისტრის პოსტების განაწილება ხდება პოლიტიკური ლოიალურობის პრინციპით, ან უბრალოდ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო. 2008 წლის 31 იანვარს, დათხოვნილი მეშვიდე მინისტრთა კაბინეტი ყველაზე საკამათო იყო ამ თვალსაზრისით, ვინაიდან ბევრს მიაჩნდა, რომ პოლიტიკურად მოტივირებული დანიშვნები მმართველი პარტიის მიმართ ლოიალურობის პრინციპით განხორციელდა. განსაკუთრებით საკამათო გახდა ორი დამოუკიდებელი ექსპერტის თემურ იაკობაშვილის და გია ნოდის დანიშვნა, ერთის რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად და მეორესი განათლებისა და მეცნიერების მინისტრად. ორივე მათგანი იყო “exit polls“-ის ოგანიზატორი, რომელიც გამოყენებულ იქნა 2008 წლის საკამათო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გასამართლებლად. ამავე მინისტრთა კაბინეტის დათხოვნის დროს, რეგიონალური განვითარების საკითხებში ახალი სახელმწიფო მინისტრად დავით ტყეშელაშვილის დანიშვნა, მრავალი ექსპერტის მიერ აღქმულ იქნა, როგორც წინასაარჩევნო სვლა, ვინაიდან ახალი სახელმწიფო მინისტრი არჩევნების ჩატარების კუთხით, დიდი გამოცდილების მქონე პიროვნებად არის ცნობილი. პოლიტიკურად მოტივირებული დანიშვნები და სამთავრობო გადანაცვლებები განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პირველი

კაბინეტი დათხოვნის დროს. ექსპერტებს ამის მაგალითად ხშირად მოჰყავთ ეროვნული თანხმობის და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრების აპარატის დაარსების და გაუქმების საკითხი, როგორც მოკლე ვადიანი პასუხი შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე: პირველ შემთხვევაში „დაემშვიდებინათ“ ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები და მოეხდინათ მათი ინტეგრაცია პოლიტიკურ პროცესებში, მეორე შემთხვევაში კი, წაეხადისებინა ოსების ინტეგრაცია (იხ. დანართი 1).

II. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციასთან დაკავშირებული ინსტიტუტები აღმასრულებელ დონეზე

1. სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში (და სახელმწიფო მინისტრის აპარატი კონფლიქტების მოგვარების საკითხში)

როგორ ზემოთ აღინიშნა, სპეციალური ინსტიტუტები სამინისტროს დონეზე, რომელიც ეროვნული უმცირესობების საკითხებს შეეხება მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაარსდა. ყველაზე ადრეული და მნიშვნელოვანი ინსტიტუტს ამ სფეროში სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი წარმოადგენდა, რომელიც 2004 წლის დეკემბერში შეიქმნა (მას შემდეგ რაც რეგიონალური განვითარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი გაუქმდა, იხილეთ ქვემოთ). სახელმწიფო მინისტრად კი წარმოშობით ოსი ეროვნების ზინაიდა ბესტავეა იქნა დანიშნული. ეს დანიშვნა მთავრობის მხრიდან ეროვნული თანხმობის საკითხში გადაგმულ ნაბიჯი იყო, ასევე ოსების და ქვეყანაში მცხოვრები ყველა არა-ქართველი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ კეთილი ნების გამოხატვაზე მიანიშნებდა.

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მანდატით გათვალისწინებული იყო, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების ჩართვის საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. მის უფლებამოსილებაში შედიოდა აგრეთვე უმცირესობებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს, პროექტების და ნორმატიული აქტების შემუშავება. მანდატით გათვალისწინებული იყო ასევე, სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციების, წინადადებების მომზადება და მთავრობასა და პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენა. მას ასევე დავალებული ჰქონდა კავშირების დამყარება საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნულ უმცირესობათა თემთან და მათთვის სხვადასხვა (კულტურული, სოციალური და სხვ.) განვითარების პროგრამები შეიქმნა. ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის საკითხების გარდა, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ჩართული იყო, 1990 წელს ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებული ხალხის

განსახლების საკითხში, წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავების კუთხით⁴

ამდგავარად, სამოქალაქო საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ძირითადი მოვალეობა ეროვნულ უმცირესობათა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები იყო. თუმცა, რეალობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობა მთლიანად აქცენტს ჩრდილოეთ ოსეთიდან ოსების საქართველოში, მათ ყოფილ სოფლებში განსახლების საკითხებზე აკეთებდა, რის გამოც, ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი განხილვის გარეშე დარჩა. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა რამდენიმე ოსური ოჯახი დააბრუნა ბორჯომის რაიონში, თუმცა ეს წარმატება ვერ იქნა მხადაჭერილი ადეკვატური საცხოვრებელი პირობების არ შექმნის გამო. პროექტი საბოლოო ჯამში წარუმატებლად დასრულდა, ვინაიდან დაბრუნებულმა ოსურმა ოჯახებმა კვლავ მიგრაციას მიმართეს.

სახელმწიფო მინისტრმა და მინისტრის აპარატის უფროსმა განმარტეს, რომ ეროვნული უმცირესობების კომპონენტის უგულებელყოფა ხდებოდა იმ მიზეზით, რომ მათი მანდატი შეზღუდული იყო და თავად სტრუქტურაც არ წარმოადგენდა სრულფასოვან სამინისტროს, რის გამოც თანამშრომელთა რაოდენობა ასევე მცირე იყო. (თავდაპირველი შვიდი აპარტის თანამშრომელი თხუთმეტამდე გაიზარდა 2006 წელს). ამას გარდა, დაფინანსებაც არ იყო ადეკვატური: დაახლოებით 200,000 ლარი წელიწადში, ბიუჯეტი მხოლოდ ხელფასებს, ოფისისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენ თანხას და სატრანსპორტო ხარჯებს ფარავდა.⁵

სახელმწიფო აპარატის არაეფექტურობა ამ ფაქტორების გარდა, შეიძლება აიხსნას ასევე მისი სიმბოლური დატვირთვითაც. თავდაპირველად, ნათელი იყო, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პიროვნების მინისტრად დანიშვნა იყო უესტი, რომელიც მიანიშნებდა მთავრობის სურვილზე უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები მოეგვარებინა და

⁴ სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წესდება, მიღებულია 2004 წლის ივნისში.

⁵ ინტერვიუ დავით ფიცხელაურთან, სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი, 2006 წლის 15 მარტი.

მოეპოვებინა უმცირესობების ნდობა. მართალია, ეთნიკურად ოსის მინისტრად დანიშნა მნიშვნელოვანი სიმბოლური ქმედება იყო, მაგრამ ვინაიდან სახელმწიფო მინისტრს არ ჰქონდა გამოცდილება და ფლობდა მცირე ბერკეტებს მთავრობაში, მან ვერ შეძლო ამ სფეროში პოლიტიკის გაძლიერება და მდგრადი სტრუქტურის განვითარება. არაეფექტურობის გამო, 2007 წლის ნოემბერში სახელმწიფო მინისტრის აპარატი გაუქმდა.

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის გაუქმების შემდეგ, ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის საკითხები აღმასრულებელ დონეზე 2008 წლის ივნისამდე არ ყოფილა არც ერთი სტრუქტურის კურირების ქვეშ. თუმცა 2008 წლის ივნისიდან, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების საკითხებზე პასუხისმგებლობა ახლად დაარსებული რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მანდატში შევიდა (დაფუძნდა 2008 წლის 8 თებერვალს). ეს უწყება ყოფილი კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო აპარატის ნაცვლად შეიქმნა, რომელიც 2008 წლის 31 იანვრამდე ფუნქციონირებდა.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს თავდაპირველად ხელმძღვანელობდა გიორგი ხაინდრავა, შემდგომში კი მერაბ ანთაძე. უწყება მანდატის მიხედვით, კონფლიქტის პრევენციისთან დაკავშირებულ საკითხებზე იყო უფლებამოსილი, თუმცა მისი აქტივობები ძირითად მიმართული იყო სამხრეთ ოსეთის *de facto* მთავრობასთან მოლაპარაკებებსა და სამხრეთ ოსეთის საკითხებზე შერეული საკონტროლო კომისიის⁶ შეხვედრებში მონაწილეობაზე. კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მანდატი ეროვნული უმცირესობების საკითხს არ ითვალისწინებდა. თუმცა, ვინაიდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონი პოტენციურ კონფლიქტურ რეგიონადაა მიჩნეული, სახელმწიფო მინისტრის აპარატი დრო და დრო ერთვებოდა ამ

⁶ შერეული საკონტროლო კომისია შეიქმნა 1992 წლის 22 ივნისის სოჭის ხელშეკრულებით და წარმოადგენდა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს. კომისია შესდგებოდა ოთხი წევრისაგან თანაბარი წარმომადგენლობით: საქართველო, სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი და რუსეთი. საქართველო გამოვიდა კომისიის ფორმატიდან 2008 წლის მარტში და მოითხოვა ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლობის შეცვლა ეუთოს, ევროკავშირის და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენლებით (სამხრეთ ოსეთის პრო-ქართული ადმინისტრაცია, რომელსაც დიმიტრი სანაკოევი ხელმძღვანელობს).

მიმართულებით, კერძოდ მონაწილეობდა 2005 წელს სამცხე-ჯავახეთის სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

როგორც მისი წინამორბედი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ეს ახალი ინსტიტუტიც კონფლიქტური რეგიონების პრობლემების მოგვარებას თვალისწინებს. თუმცა, სათაურის შეცვლით და ახალი ტერმინის დამკვიდრებით – რეინტეგრაცია - მთავრობამ ყურადღება გადაიტანა ინტეგრაციასა და რეინტეგრაციაზე და გასცდა კონფლიქტების სფეროს, რითაც აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ სეპარატისტული რეგიონებიც ქვეყნის განუყოფელი ნაწილები არიან და საჭიროებენ ინტეგრაციას. თავდაპირველად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ფოკუსირებას მხოლოდ კონფლიქტურ რეგიონებზე ახდენდა, ეს აღნიშნულ იყო 2008 წლის თებერვალში მიღებული სახელმწიფო აპარატის წესდებაში (მუხლი 1, პარაგრაფი 2): „აპარატის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტური რეგიონების რეინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, ასევე ამ რეგიონებში რელიგიურ, ეთნიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა საფუძველზე წარმოქმნილ პრობლემათა გადაწყვეტა, პრევენცია და კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობა“.

ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი სახელმწიფო მინისტრის აპარატის მანდატში მას შემდეგ შევიდა რაც, 2008 წლის 3 ივნისს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება #216 რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრიეს აპარატის დებულებაში ცვლილებების შესახებ. ამ დადგენილებამ სახელმწიფო მინისტრის აპარატის კონკრეტული ფუნქციები და მიზნები განსაზღვრა. ასევე მოხდა, ინსტიტუტის მანდატის გაფართოება, სახელმწიფო მინისტრის სტრუქტურა კი იქცა სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნული უმცირესობების საკითხში მთავარ სამთავრობო უწყებად, რომელსაც დაევალა შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და შესრულება. ზემოაღნიშნული დადგენილება (ზოგადი მიმოხილვა, მუხლი 1, პარაგრაფი 2) განსაზღვრავს, რომ აპარატი „ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას, განახორციელებს ფართო

მასშტაბიან სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამებს”. ახალი წესდების მიხედვით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში წარმომადგენლები უნდა დაინიშნოს, აპარატმა „თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციები ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებულმა შესაბამისმა წარმომადგენლებმა; ასევე უნდა მოხდეს უწყებებს შორის თანამშრომლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიის დროებით წარმომადგენლობთან – გუბერნატორებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის ჩათვლით”. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ახალ დებულებაში ამოცანების და ფუნქციების განყოფილება (ამოცანები და ფუნქციები, მუხლი 2) ეროვნულ უმცირესობებთან და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით შემდეგ აქტივობებს განსაძღვრავს: საქართველოს ტერიტორიაზე რეინტეგრაციასა და სამოქალაქო ინტეგრაციისთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური აქტივობების ხელშეწყობა და კოორდინაცია (მუხლი 2, პარაგრაფი გ); მთავრობის სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და შესრულება; უწყებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე, ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული ინიციატივების შემუშავება და შესრულება (მუხლი 2, პარაგრაფი დ); სამოქალაქო ინტეგრაციასა და რეინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და მათი წარდგენა მთავრობისათვის (მუხლი 2, პარაგრაფი ე), რეინტეგრაციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სხვა და სხვა სამთავრობო სტრუქტურებს შორის კოორდინირებული ქმედებების განხორციელება (მუხლი 2, პარაგრაფი ზ); კანონმდებლობაში აღნიშნული რეინტეგრაციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის დახმარების მიზნით სპეციალური ფონდების ორგანიზება,

შესაბამისი პროგრამების ინიცირება, კოორდინაცია და ზედამხედველობის გაწევა (მუხლი 2, პარაგრაფი ლ).⁷

იმისათვის, რომ შესრულდეს ზემოაღნიშნული აქტივობები და ზოგადად, განხორციელდეს ეროვნული უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკა, შეიქმნა მინისტრის მოადგილის თანამდებობა და შესაბამისად, გამოიყო საშტატო ერთეულები. ამ თანამდებობაზე 2008 წლის 3 ივნისს ყოფილი დეპუტატი და ადამინის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ელენე თევდორაძე დაინიშნა. მისი აპარატი ამ დროისათვის ექვსი თანამშრომლისგან შედგება, და ორ სამმართველოდ იყოფა: სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველო და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების სამმართველო. წესდების 1 მუხლის, 2 პარაგრაფის მიხედვით, სახელმწიფო მინისტრის სპეციალური წარმომადგენლები დაინიშნა ახალქალაქში (სამცხე-ჯავახეთი) და მარნეულში (ქვემო ქართლი). მათი მოვალეობაა რეგიონებში სამოქალაქო და უმცირესობათა ინტეგრაციასთან დაკავშირებული პოლიტიკისათვის მონიტორინგის გაწევა.

2008 წლის ნომბრის მთავრობის #216 დადგენილებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მანდატში მცირედი შესწორებები მოხდა, თუმცა ის ნაწილი რომელიც ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციას ეხება მნიშვნელოვანწილად არ შეცვლილა.

2. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის არაეფექტურობამ და სუსტმა პოზიციამ, როგორც უკვე განვიხილეთ, საჭირო გახდა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველის ინსტიტუტის შექმნა. 2006 წლის ინვარში შეიქმნა კიდევაც ეს უწყება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. პრეზიდენტის მრჩეველის თანამდებობაზე პირველად ანა ჟვანია დაინიშნა, მას ფაქტიურად

⁷ საქართველოს მთავრობის დადგენილება #130, 2008 წლის 3 ივნისი.

ჰქონდა იგივე უფლებამოსილება, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, ოსეთიდან დევნილების საკითხის გამოკლებით.

მრჩევლის ინსტიტუტის მნიშვნელობა და გავლენა გაიზარდა მას შემდეგ რაც, ამ თანამდებობაზე დაინიშნა თამარ კინწურაშვილი, რომელიც წარსულში საზოგადოებრივი მაუწყებლის (სახელმწიფო ტელევიზია და რადიო არხი) გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. 2008 წლის 30 აპრილის #282 პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე, ის ასევე დაინიშნა შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციისა საბჭოს ხელმძღვანელად და დაეკალა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო წარმოადგენს საკონსულტაციო უწყებას, რომელიც 2005 წლის აგვისტოში პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემადგენლობაში დაფუძნდა, თავდაპირველად მას ხელმძღვანელობდა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ზინაიდა ბესტაევა. თუმცა, 2005-08 წლებში მისი სამუშაო მხოლოდ ერთი გაცნობითი და ერთი შემდგომი შეხვედრით შემოიფარგლა.

2008 წლის აპრილის პრეზიდენტის დადგენილებით, საბჭომ ცვლილებები განიცადა, რომლის მიხედვითაც მის მუშაობის კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა პრეზიდენტის მრჩეველს დაეკალა. საბჭოს შემადგენლობაში შედის რამდენიმე მინისტრი, მინისტრის მოადგილეები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრი რეგიონალურ საკითხებში, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კულტურის მინისტრის მოადგილე, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, საქართველოს სახალხო დამცველი, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი, თავისუფლების ინსტიტუტის თავმჯდომარე, ALPE –ს დირექტორი (არასამთავრობო

ორგანიზაცია), საქართველოს გაეროს ასოციაციის დირექტორი, კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დირექტორი, სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის დირექტორი და საქართველოს სომეხთა კავშირის თავმჯდომარე.

პრეზიდენტის დადგენილების მიხედვით, შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციისა საბჭოს მთავარი ფუნქციაა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე მისი შესრულების პროცესში მონიტორინგის და კოორდინაციის გაწევა.“⁸ დადგენილების მიხედვით, საბჭოს მანდატით გათვალისწინებულია ზოგადი შეფასებითი სამუშაოს ჩატარება, რომელიც ამ სფეროში საერთაშორისო არა-სამთავრობო, სოციალური და აკადემიური გამოცდილების შესწავლას და გაზიარებას მოიცავს. საბჭო მოვალეა ასევე, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის დიალოგის წარმოებას; შეისწავლოს არატოლერანტული და დისკრიმინაციული მიდგომების გამომწვევი მიზეზები და მოახდინოს ამ ფაქტების სისტემური აღწერა; ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის შემუშავება, რომელიც დისკრიმინაციის დაშვების კუთხით აღმოფხვრის საკანონმდებლო ნაკლოვანებებს; და ეთნიკური უმცირესობების პოტენციალის წარმოჩენის ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა.

საბჭოს მუშაობის მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის 8 მაისის პრემიერ-მინისტრის #348 დადგენილებით⁹ (იხ. დანართი 4) მიღებული, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. თავისი მნიშვნელობით კონცეფციის მიღება გარდამტეხ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს უდიდესი დატვირთვის მქონე გადაწყვეტილებაა, რომელიც ქმნის შესაბამის პირობებს ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხებში ეროვნული პოლიტიკის

⁸ პრეზიდენტის ბრძანებულება #639, შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციისა ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესახებ, 2005 წლის 8 აგვისტო.

⁹ ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული სამუშაოები ხელშემწყობილი იქნა სამოქალაქო ინტეგრაციისა და შემწყნარებლობის პროგრამის მიერ, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დააფინანსა და განხორციელდა საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ.

შემუშავების, თანმიმდევრული მექანიზმების შექმნის და მრავალმხრივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

კონცეფციის ტექსტი შეიცავს თხრობით ნაწილს, სადაც აღწერილია კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მიზნები და მთავარი მიმართულებები, ამავე ნაწილში გადმოცემულია პროგრამები და აქტივობები, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს კონცეფცია სხვადასხვა უწყებისა და ინსტიტუტის მონაწილეობით მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აქტივობების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა. კონცეფცია ეფუძნება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპულ ჩარხო კონვენციას და საქართველოს კონსტიტუციას. კონცეფციის მთავარი მიზანია, „დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით“.¹⁰ კონცეფციის მოქმედების არეალი ექვს მიმართულებას მოიცავს: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედიას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკურ ინტეგრაციას და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

კონცეფცია შეიქმნა ფართო მონაწილეობითი პროცესისა და დაინტერესებული მხარეების კონსენსუსისა და პროცესში ჩართვის შედეგად, რომელშიც ეროვნული უმცირესობების თემის და ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიოდა, რაც სასურველი შედეგის მიღწევის წინაპირობას ქმნის. კონცეფცია თვისობრივად საკმაოდ მოქნილია და მიუხედავად იმისა, რომ მოხდა მისი საბოლოო დამტკიცება, სავარაუდოა, რომ რეკომენდაციებზე დაფუძნებით გარკვეული ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა მაინც შესაძლებელი იქნება.

¹⁰ შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, მიღებული იქნა 2009 წლის 8 მაისის პრემიერ-მინისტრის # 348 დადგენილებით.

კონცეფცია აწესებს შესრულებისა და მონიტორინგის ვადებს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი პასუხისმგებელია ტექნიკური კოორდინაციის გაწევაზე, პროგრესის მონიტორინგზე, ანგარიშების მომზადებასა და პროცესის წარმართვაზე. კონცეფციაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ეს ფუნქციები შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

“სამოქმედო გეგმის განხორციელებას კოორდინირებას უწევს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული პოლიტიკის შესაბამისად, ყოველი თვის 5 რიცხვამდე წარუდგენენ მას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშებს. ყოველი წლის 10 დეკემბერს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და შემწენარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ საბჭოს მოხსენებას პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ.”

შემწენარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციისა საბჭო კი უფლებამოსილია განახორციელოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. კონცეფციის სამოქმედო გეგმა ხუთი წლის ვადაზეა გაწერილი და წარმოადგენს დეტალურ აქტივობებს და მოვალეობებს, რომელიც სხვა და სხვა ინსტიტუტების მიერ უნდა შესრულდეს. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ კონცეფცია ავალდებულებს მთავრობას გაითვალისწინოს სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის საჭირო ფინანსური ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში: „შემწენარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი”.

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ კონცეფციის დოკუმენტი ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისთან დაკავშირებულ ყველა პრობლემატურ ასპექტებს მოიცავს, მის თანდართულ სამოქმედო გეგმაში სათანადოდ არ არის ასახული კონცეფციის თხრობით ნაწილში ასახული პრობლემატიკა. მაგალითისათვის, კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული სპეციალური ღონისძიებები, რომელიც კონცეფციაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებადაა

მოსხენიებული, საერთოდ უგულებელყოფილია სამოქმედო გეგმაში. „კანონის უზენაესობის” სათაურის ქვეშ შემდეგი მიზნებია ჩამოთვლილი:

- ა) საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაცია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან;
- ბ) ეროვნული უმცირესობების მიერ მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
- გ) დისკრიმინაციული მოპყრობისგან ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა;
- დ) საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება ეროვნული უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.”

ამ მიზნების მისაღწევად, სამოქმედო გეგმაში სპეციფიური ზომების არდაფიქსირების პირობებში, მათი მოხსენიება კონცეფციის ძირითად ტექსტში მთავრობის მხრიდან მეტწილად სიმბოლურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ მის კეთილი ნებაზე მიაწინებს, თუმცა უმცირესობების დაცვისა და მათი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების საკითხში არანაირი კონკრეტულ ვალდებულებების აღების გარეშე.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონცეფციაში არაპირდაპირ არის საუბარი. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოვალეობაში შედის, კოორდინირებული ქმედებით ჩაატაროს საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი და მასზე დაფუძნებით შეიმუშავოს რეკომენდაციები და ცვლილებები და მათი აღსრულებისთვის კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველის შექმნა. უფრო მეტიც, სამოქმედო გეგმის აქტივობებში მოხსენიებულია ასევე, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის შესახებ საკანონმდებლო ცოდნის ამაღლება, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციის ქვეშ მოიაზრება.¹¹

¹¹ ECMI/DIHR-ის მოხსენებითი ბარათი, „წინასწარი მოკვლევა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების შესახებ”, მისიის ვიზიტი, 2009 წლის 11-16 მაისი, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი/დანის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი.

კონცეფციის დოკუმენტის ეფექტურობა დამოკიდებულია ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე, ჩართულობის მექანიზმის შემუშავებასა და უწყების ან გუნდის შექმნაზე, რომელიც შესრულების პროცესს კოორდინაციას გაუწევს. ამ მიმართულებით მთავრობის მიერ დადებითი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. კონცეფციის დოკუმენტი საზგასმით აღნიშნავს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში უმცირესობათა ჩართულობის გაუმჯობესების აუცილებლობას. საბოლოო ჯამში კი, სამოქმედო გეგმაში საუბარია ეროვნული უმცირესობების რეგიონალური საბჭოების შექმნის შესახებ, თუმცა არ არის აღნიშნული მათი მანდატი და მოქმედების სფერო. 2009 წლის 19-21 ივნისს გუდაურში გამართულ კონფერენციაზე, სადაც კონცეფციის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა განიხილებოდა, სწორედ აღნიშნული საკითხი გახდა განსჯის ერთ-ერთი მთავარი თემა. პირველი კონსულტაციებისა და განხილვების შემდგომ, მოხდა იდეების შეჯერება იმის თაობაზე, რომ რეგიონალური ეროვნულ უმცირესობათა საბჭოები გააერთიანებს ადგილობრივ ეროვნულ უმცირესობათა და სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულებას მონიტორინგს გაუწევს რეგიონალურ დონეზე, უზრუნველყოფს ეროვნულ უმცირესობათა რეგიონალური წარმომადგენლების ჩართვას შესაბამის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეროვნულ უმცირესობათა რეგიონალური საბჭოები შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე გუბერნატორების ოფისებს (ანუ პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლების ოფისები) და ცენტრალურ დონეზე სახალხო დამცველის აპარტთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს დაუკავშირდეს.

რაც შეეხება კონკრეტულ მაკოორდინირებელ მექანიზმს, ზემოაღნიშნული ივნისის კონფერენციის შემდეგ, მცირე ხანში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარტმა ჩამოაყალიბა უწყებათაშორისო სამთავრობო სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან იმ სამინისტროების და სახელმწიფო ინსტიტუტების სხვადასხვა სამმართველოს უფროსები, რომლებიც ჩართულები არიან სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში. სამთავრობო უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მუშაობას კი კოორდინაციას უწევს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. ამ ეტაპზე უნდა დაველოდოთ, თუ რამდენად ეფექტურად გაართმევს თავს სახელმწიფო

მინისტრის აპარატი კოორდინატორის ფუნქციას, ეროვნული კონცეფციისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის შესრულების პროცესში. ამ კუთხით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

3. სახალხო დამცველი და მასთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველის როლი ეროვნული უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გაიზარდა. სახალხო დამცველი, როგორც საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტი, ყოველთვის იყო ჩართული ეროვნული უმცირესობების პრობლემების გადაჭრაში, მაგრამ ამ კუთხით მისი მნიშვნელოვნად გაფართოვდა მას შემდეგ, რაც 2005 წლის დეკემბერში –სპეციალური, მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო - ეროვნულ უმცირესობათა საბჭო დაფუძნდა. ეროვნულ უმცირესობათა საბჭო თავს უყრის ქვეყანაში მოქმედ ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციების უმრავლესობას, განსაკუთრებით მათ ვინც თბილისში საქმიანობენ და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კონსულტაციებსა და თანამშრომლობის გაღვივებას ეროვნულ უმცირესობებსა და მთავრობას შორის.¹²

მრავალი მრგავლი მაგიდის და სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ორგანიზების შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ შესაბამისი საჯარო მოხელეები და დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო გახდა მთავარი ფორუმი დისკუსიებისა და დიალოგისათვის მთავრობასა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს საკონსულტაციო ფუნქცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა მას შემდეგ რაც, 2008 წლის ივნისში მოხდა თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ამ უწყებასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის. ეროვნულ უმცირესობათა

¹² საბჭო შეიქმნა ეროვნულ უმცირესობათა ევროპული ცენტრის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, თუმცა 2006 წლიდან ამ ორგანოს მხარს უჭერს გაეროს განვითარების პროგრამა, კონკრეტულად კი პროგრამა დახმარებას უწევს სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ; ტოლერანტობის ცენტრს, საბჭო ცენტრის შემადგენლობაში შედის.

საბჭოს შემადგენლობაში შედის ექვსი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც შემდეგ საკითხებზე მუშაობენ: მედია და ინფორმაცია, განათლება და კულტურა, იურიდიული საკითხები, რეგიონალური პოლიტიკა და ინტეგრაცია, გენდერული და ახალგაზრდული საკითხები. სამუშაო ჯგუფები იკრიბებიან საჭიროების მიხედვით, რის დროსაც ხვდებიან შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებს, და მათთან განიხილავენ რეკომენდაციებს და მათი შესრულების საკითხებს. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მთავარ მიღწევად შესაძლებელია ჩაითვალოს 2007 წლის მაისში საქართველოს მთავრობისათვის წარდგენილი რეკომენდაციების პაკეტი ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციის შესრულების შესახებ.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს როლი უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა შემწეობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია (იხ. ზემოთ). როგორც ეროვნულ უმცირესობათა გამაერთიანებელი სტრუქტურა და უმცირესობების საკითხებში მთავარი საკონსულტაციო ორგანო, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო მიიწვევა, როგორც სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში მონიტორინგის გამწევი ორგანოდ და მთავრობასთან უმცირესობების ინტეგრაციის და დაცვის მიმდინარე საკითხებზე საკონსულტაციო უწყება.

4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში გადამწვევტ როლს თამაშობს, ვინაიდან ერთ-ერთ პრობლემათგანი რომელიც ეროვნულ უმცირესობებს აწუხებთ განათლებისა და ენის საკითხს უკავშირდება. საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად სახელმწიფო ენის არ ცოდნა სახელდება; ეს საკითხი განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს რეგიონში კომპაქტურად მცხოვრებ უმცირესობებს ეხება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია, უმცირესობებით დასახლებული რეგიონების განათლების სფეროში ინტეგრაციას შეუწყოს ხელი. 2004 წელს მიღებული სამინისტროს წესდების მიხედვით დაფუძნდა პროგრამების დეპარტამენტი, რომელსაც ევალება

“საქართველოს სახელმწიფო ენის განვითარებისა და პოლულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელება და შესრულების კონტროლი”, ამავე დროს “ეროვნულ უმცირესობათა ენების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა” (მუხლი 4.10).¹³

იმისათვის, რომ მიაღწეულ იქნას დასახული მიზნები, სამინისტრო ორ პროგრამას ახორციელებს, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციას უკავშირდება. პირველი პროგრამაა სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამა, რომლის ორი მთავარი კომპონენტი აქცენტს აკეთებს ახალი სასწავლო გეგმის და სტანდარტების შემუშავებასა და სახელმძღვანელოების და მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შეთავაზებაზე ქართული ენისა და ლიტერატურაში, ასევე ახდენს არა-ქართულენოვანი სკოლების უზრუნველყოფას სახელმძღვანელოებით და ქართული წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. მეორე პროგრამა კი, სახელმწიფო ენის პროგრამის „საქართველოს ლინგვისტური უმცირესობების დაცვის“ ქვე-პროგრამას წარმოადგენს, რომელიც ეროვნული უმცირესობების ენის სწავლების ხელშეწყობაზე ამახვილებს ყურადღებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ნაკლებად გავრცელებული ენების დაცვას და განვითარებას, როგორცაა აფხაზური, უდიური, ასირიული და სხვ. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მცირე ენების დაცვის კუთხით, ფორმალური ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა. სამინისტროს შემადგენლობაში ოფიციალურად შეიქმნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, აღნიშნულ საკითხებზე მუშაობის მანდატით. დეპარტამენტის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ენის სწავლებას ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით კი უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს ე.წ. ენის სახლების მეშვეობით, რომლებიც შექმნილია ქვეყნის სხვა და სხვა რეგიონალ ცენტრებში, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ჩათვლით.

¹³ საქართველოს განთელებისა და მეცნიერების სამინისტროს წესდება, მიღებულია 2004 წლის 21 მაისს.

ამას გარდა 2004-2006 წლებში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „მომავალი იწყება დღეს“. ამ პროექტის ფარგლებში, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში მოღვაწე მასწავლებლები ერთწლიანი საკონტრაქტო პერიოდით არა-ქართულენოვან სკოლებში მიავლინეს, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის სწავლების მიზნით. ამ პროგრამის მიზანი იყო უმცირესობათა რეგიონებში სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემის მოგვარება. მაგილითასათვის, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში 2004 წლამდე მრავალ სკოლაში არ მიმდინარეობდა ქართული ენის სწავლების პროცესი, ქართული ენის მცოდნე მასწავლებლების სიმცირის გამო. ხსენებული ნაბიჯების მიუხედავად, პროგრამამ სახელწოდებით „მომავალი იწყება დღეს“ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში უნდობლობა გამოიწვია. 2005 წელს, პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვა და სხვა რეგიონებიდან მასწავლებლებს (მთავრობა მათ არაოფიციალურად „მისიონერებს“ უწოდებდა) ყოველთვიური ხელფასი 500 ლარის ოდენობით დაუწესა, რაც ადგილობრივ მასწავლებლების ხელფასებზე გაცილებით მაღალია. ამ ინიციატივის შედეგად, რომელიც მიზნად ისახავდა სამოქალაქო ინტეგრაციას, უმცირესობათა წარმომადგენელ მასწავლებლებსა და რეგიონის ფართო საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვები დისკრიმინაციული მიდგომების შესახებ.

მეორეს მხრივ, 2006 წლის იანვარში ქუთაისში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო მმართველის სკოლის დაარსება, სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით უდაოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. სკოლის მიზანია, დასაქმებულ და პოტენციურ საჯარო მოხელეებს (უმეტესწილად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს) შეუქმნას პირობები ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე სწავლის გაგრძელების. სკოლა უმცირესობების წარმომადგენლებს ქართული ენის სწავლების შესაძლებლობას სთავაზობს.

სამინისტროს ერთ-ერთი ინიციატივათაგანი მულტილინგუური განათლების კონცეფციის მიღება იყო, რომლის პილოტირება 2006-2008 წლებში შვეიცარიული ორგანიზაციის „CIMERA“-ს დახმარებით მოხდა კიდევ.

მულტილინგვური განათლების მეთოდი სკოლებში ორი ან მეტი ენის გამოყენებას ისახავს მიზნად, ამასთანავე მშობლიური ენის სათანადო შესწავლისა და შენარჩუნების და სახელმწიფო ენის ათვისების შესაძლებლობას ჰქმნის. სამინისტრომ საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, შეიმუშავა მულტილინგვური განათლების კონცეფციის პროექტი, რომლის მიღებაც უახლოეს ხანებშია მოსალოდნელი. კონცეფციის დამტკიცების შემდგომ საჭირო გახდება არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ განათლების ზოგად კანონში, რომლის თანახმადაც საგნები როგორცაა: ისტორია, გეოგრაფია და სოციალური მეცნიერებები 2010 წლისათვის ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს.

სამინისტროს ფარგლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკული თვალსაზრისით ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის შესრულება პროგრამების დეპარტამენტს ევალება, რომელიც პასუხისმგებელია სამინისტროს ყველა პროგრამის შესრულებაზე, ეროვნულ უმცირესობათა ენების დაცვის და სწავლების პროგრამების ჩათვლით. დამატებით, სამინისტროს ფარგლებში შექმნილია სპეციალიზირებული ცენტრი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, რომლის მოვალეობაა ეროვნული სასწავლო პროგრამების შემუშავება, პილოტირება და განხორციელება და ახალი სახელმძღვანელოების დამტკიცება.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაში სპეციალური აქტივობების განხორციელების თვალსაზრისით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთ-ერთი ძირითად პასუხისმგებელ უწყებად სახელდება. ეროვნული კონცეფცია ხაზს უსვამს, ეროვნულ უმცირესობებს შორის სახელმწიფო ენის ცუდად ფლობის პრობლემას და ეროვნული უმცირესობებისათვის მთავარ დამაბრკოლებელ პრობლემად მიჩნევს, რომელიც ხელს უშლის მათ სრულ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. იმისათვის, რომ აღმოიფხვრას განათლების სფეროში არსებული პრობლემები, ეროვნული კონცეფცია ხუთ მთავარ ამოცანას ისახავს მიზნად:

“ა) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლაში დელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა;
- გ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- დ) სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა;
- ე) განათლების სფეროში საჯარო დისკუსიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა”.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ამ მიზნების ქვეშ სპეციფიური პროექტების განხორციელებაში მრავალი სახელმწიფო ინსტიტუტი მოიაზრება, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ეროვნული ატესტაციის ცენტრი, განვითარებისა და რეფორმირების ფონდი, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ბავშვთა აღრეული ზრუნვის საპარლამენტო ალიანსი, უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტები და ადგილობრივი თვითმმართველობები. ხუთი წლის ვადით გაწერილი აქივობები მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს და არ იზღუდება ეროვნულ უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლებით. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ასევე, უმცირესობებით დასახლებული რეგიონების განვითარებისათვის სპეციალური პროგრამების განხორციელებას, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობების სკოლებზე ყურადღების გამახვილებით, იმისათვის რომ ადგილობრივი მოსწავლეების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სათანადოდ მომზადება უზრუნველყოფს. მსგავსი ზომების გატარება, ასევე მოიაზრებს მულტილინგუალური სწავლების პოლიტიკის ოპტიმიზაციას, ყველა შესაბამისი სახელმძღვანელოს თარგმნას უმცირესობათა ენებზე და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ქვეყნის გარეთ არსებული გრანტებისა და სტიპენდიების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

5. კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო

ეროვნულ უმცირესობათა დაცვა და უმცირესობათა ხელშეწყობა კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროსათვისაც ერთ-ერთი მთავარი მიზნია. სამინისტრო ამ მიმართულებით სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსებასაც გამოყოფს. 2007-2010 წლებისათვის გაწერილი სამინისტროს სტრატეგია მთლიანობაში ექვსი

კომპონენტის განხორციელებას ისახავს მიზნად, სტრატეგიული კომპონენტის „ეროვნული უმცირესობების კულტურის განვითარების“ ჩათვლით. ეს უკანასკნელი მოიაზრებს „დაცვას, განვითარებას, ხელშეწყობას და ინტეგრაციას საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის საერთო კულტურასთან“. კომპონენტი ყურადღებას ამახვილებს კულტურული ორგანიზაციების და ეროვნული უმცირესობების პროექტების თანადაფინანსებაზე და საქართველოში არსებულ დიასპორებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

სამინისტრომ შეიმუშავა ასევე, სპეციალური „ეროვნული უმცირესობების კულტურული ცენტრების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების კულტურული იდენტურობის დაცვის, განვითარების და ხელშეწყობის საკითხებს, სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლებს შორის კულტურული დიალოგის გაღრმავებას და ეროვნული უმცირესობების ქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა კულტურული ცენტრების მეშვეობით¹⁴. სამინისტროს პრიორიტეტები სავსებით თანხვედრაში მოდის შემწეობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასთან, რომელიც შემდეგ მიზნებს ისახავს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში:

- ა) სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ბ) ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა;
- გ) ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- დ) ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა;
- ე) საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ვ) ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებზე მათი წარმოჩენა“.

ზემოსხენებული მიზნების მიღწევის მიზნით, სამინისტრო პრიორიტეტად ასახელებს სხვა და სხვა ეროვნული უმცირესობების კულტურული ცენტრისა და ორგანიზაციების, სამინისტროს ბიუჯეტიდან პირდაპირ დაფინანსებას. ეს

¹⁴ სამინისტროს საქმიანობის ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისა და განვითარების კომპონენტი, იხილეთ სამინისტრო ოფიციალური ვებ-გვერდი www.mcs.gov.ge/.

ინსტიტუტები: დ. ბაახოვის სახელობის ებრაული ისტორიის მუზეუმი საქართველოში, კავკასიური სახლი – საქართველოს კულტურული ურთიერთობების ცენტრი, აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი საქართველოში, რუსული კულტურის ცენტრი საქართველოში, საქართველოში მცხოვრები უკრაინელების ასოციაცია, თბილისის ფ. ადამინის სახელობის სომხური სახელმწიფო თეატრი და თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო თეატრი. დამატებითი, ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს რეგიონალური ბიბლიოთეკების, კლუბების და ხელოვნების სკოლების მხარდაჭერას და ეროვნული უმცირესობების მატერიალური და არამატერიალური კულტურული ძეგლების დაცვას, რაც გულისხმობს ეროვნული უმცირესობების კულტურული ძეგლების სრულყოფილად რეგისტრაციასა და მათი აღდგენას. კულტურის სფეროში ერთ-ერთი უმთავარესი კომპონენტია სამოქალაქო ინფორმირების გაღრმავება საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობების შესახებ. კონცეფციის სამოქმედო გეგმის მიხედვით მხარდაჭერილი იქნება სამი მედია პროგრამა, რომელიც ეროვნულ უმცირესობების საკითხებს შეეხება, რომლებიც წარსულში არსებობდნენ, კერძოდ კი თოქ-შოუ „იტალიური ეზო“, დოკუმენტური სერიალი „მრავალეროვანი საქართველო“ და რადიო გადაცემა „ჩვენი საქართველო“.

6. სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩამოყალიბდა 2008 წლის 8 თებერვალს. მართალია მისი საქმიანობა პირდაპირ არ უკავშირდება ეროვნულ უმცირესობათა საკითხებს. თუმცა, ის ერთ-ერთი იმ სტრუქტურული უწყებათაგანია, რომელიც ინტერ-ეთნიკური ურთიერთობების თემატიკაზე მუშაობს, განსაკუთრებული აქცენტით საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიმართ. ცნობილი არქეოლოგის და ისტორიკოსის იულონ გაგოშიძის ხელმძღვანელობით აპარატი ამყარებს კავშირებს ქართული დიასპორის ორგანიზაციებთან საზღვარგარეთ. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნამდე, ამ საკითხებით ღტოლვილთა და განსახლების სამინისტრო იყო დაკავებული, თუმცა ამ სამინისტროს მანდატი ამ კუთხით ძალიან შეზღუდული იყო: ის ძირითადად

ყურადღებას თურქეთზე (სადაც წარმოშობით ქართული მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა ცხოვრობს საზღვრის სიახლოვეს, ასევე ქვეყნის ცენტრალურ და დასავლეთ რეგიონებში) და ირანზე ამახვილებდა (სადაც ქართულად მოლაპარაკე ხალხის ნაწილი ცხოვრობს, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოდან გადასახლებულთა შთამომავლები არიან და ამჟამად ირანში, ფერეიდანის რეგიონში ცხოვრობენ). დღეს, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ამ რეგიონებში ასევე განაგრძობს საქმიანობას, თუმცა მოქმედების არეალი გაფართოვდა და ევროპასა და შეერთებულ შტატებსაც მოიცავს, სადაც ქართველების საკმაოდ დიდ რაოდენობა ცხოვრობს. აპარატი ამჟამად დიასპორის საკითხებში სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებით არის დაკავებული, რომელიც მოიაზრებს ქართული დიასპორის ორგანიზაციების შექმნას ერთი მოდელის მიხედვით და სტრუქტურაზე დაფუძნებით, ასევე ის საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნას. სახელმწიფო მინისტრის აპარატის მეორე პრიორიტეტია, დიასპორის საკითხებში სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება და პარლამენტისთვის წარდგენა.

7. საგარეო საქმეთა სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტრო ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის სფეროში ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე ანგარიშგების კუთხით. სამინისტროს შემადგენლობაში შედის საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი, რომლის რამდენიმე სამმართველო გარკვეულ წილად მუშაობს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე, კერძოდ ევროპის საბჭოს სამმართველო, გაეროს სამმართველო და ეუთოს სამმართველო. ეს სამმართველოები, საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებულ მისიებთან ერთად პასუხისმგებელია საერთაშორისო კონვენციებთან დაკავშირებული ანგარიშების წარდგენაზე. ხელშეკრულებები ევროპის საბჭოს კონვენციებსაც მოიცავს – ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია, და რეგიონალური და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია – ასევე გაეროს დეკლარაციას ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივი უმცირესობებს

მიკუთვნებული პირების უფლებების შესახებ და გაეროს კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქართველო ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ ყველა ხელშეკრულებას შეუერთდა რეგიონალური და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის გარდა.

8. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო საქართველოს მთავრობის მიერ ჩამოყალიბდა, 1992 წელს მას შემდეგ რაც, ქვეყანაში დიდი რაოდენობით ლტოლვილების და ადგილნაცვალი პირები გაჩნდა, საქართველოში 1990-93 წლებში განვითარებულ ეთნიკური კონფლიქტის შედეგად. სამინისტროს ძირითადი აქტივობები ლტოლვილების და ადგილნაცვალი პირების რეგისტრაციას და მათი განსახლების საკითხებს მოიცავს. სამინისტროს ფუნქციაში შედის ასევე მიგრაციასა და მიგრანტების განსახლებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაც. უწყების მოვალეობები სამინისტროს ზოგად რეგულაციაში შემდეგნაირად არის გაწერილი: “სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, რეპატრიანტთა, სტიქიით დაზარალებულთა და სხვა მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში”.¹⁵

სამინისტროს უშუალო ფუნქციებში არ შედის ეროვნული უმცირესობების პრობლემები, თუმცა სამინისტროს ერთ-ერთი აქტივობათაგანი არაპირდაპირ გააღწენს ახდენს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე. სამინისტროს ეკისრება ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მაღალმთიანი სვანეთისა და აჭარის რეგიონიდან დაზარალებული მოსახლეობის დასახლების საკითხების მოგვარება, მათ ე.წ. „ეკო-მიგრანტებად“ მოიხსენიებენ. ეკოლოგიური მიგრანტების განსახლების პროცესი 1980-იანი წლებიდან იღებს სათავეს, ამ პერიოდიდან მოყოლებული სულ არსებული 60,000 ეკო-

¹⁵ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის ყოველწლიური ანგარიში, გვ.3

მიგნატიდან 25,000 ჩასახლებულ იქნა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განსაკორტებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. მოსახლეობის მსგავსმა ნაკადმა აღნიშნულ რეგიონებში ეთნიკურ დემოგრაფიულ მაჩვენებელზე იქონია გავლენა.¹⁶ სამინისტრომ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის შესახებ მონაცემთა ბაზა შექმნა და მიიღო პირველადი ზომები მსგავსი ოჯახების დასახმარებლად ახალი სახლებისა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავების საკითხში.¹⁷

სამინისტროს ფუნქციების სხვა ასპექტი უკავშირდება 1940-იან წლებში დეპორტირებული პირების რეპატრიაციის საკითხი, რითაც ძირითადად დაკავებულია რეპატრიაციის სამმართველო, რომელიც არსებობს სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა დეპარტამენტის შემადგენლობაში. 2005-06 წლებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სხვა უწყებებთან ერთად მონაწილეობა მიიღო რეპატრიაციის შესახებ კანონპროექტის შემუშავებულში. თავდაპირველად კომისიას გიორგი ხაინდრავა ხელმძღვანელობდა, რომელიც ამავრდოულად მუსაობდა სახელმწიფო მინისტრად კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში. მისი თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ კი, ეს საკითხი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაეცა. ამჟამად, სამინისტრო დეპორტირებული პირების რეპატრიაციის პროცესის წარმართვაზეა პასუხისმგებელი; ამ ეტაპზე მიმდინარეობს განაცხადების მიღება პოტენციური რეპატრიანტებისგან.

9. შინაგან საქმეთა სამინისტრო

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთავრობამ დაიწყო იმ უწყებების და ინსტიტუტების რეფორმირება, რომლებიც სამოქალაქო წესრიგს უზრუნველყოფენ. რეფორმებში მოიაზრებოდა ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული რეფორმა და საკადრო ცვლილებები. როგორც

¹⁶ ტომ ტრიერი და მედეა ტურაშვილი, ეკოლოგიური მიზეზებით გადაადგილებული პირების განსახლება, პრობლემის მოგვარება თუ ახლის წარმოქმნა? უმცირესობათა საკითხები ევროპული ცენტრის მონოგრაფი 6, (2007 წლის აგვისტო).

¹⁷ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 2006 წლის ყოველწლიური ანგარიში, გვ.7, იხილეთ ასევე <http://www.government.gov.ge/docs/biuleteni-06/mra.pdf>.

რეფორმების პაკეტის შემადგენელი ნაწილი, შემდეგი ძირითადი ცვლილებები განხორციელდა: 2004 წლის 27 დეკემბერს მინისტრთა კაბინეტის მეორე დიდი ცვლილების შემდეგ, უშიშროების სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუერთდა, საპასპორტო, სავიზო და მოქალაქეთა რეგისტრაციის ეროვნული ბიურო იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა, დაარსდა საპატრულო პოლიცია, ფინანსური პოლიცია ფინანსთა სამინისტროს შეუერთდა, შინაგანი ჯარები თავდაცვის სამინისტროს შეუერთდა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი არასამხედრო ძალოვანი სტრუქტურული დანაყოფად გადაკეთდა, რომელსაც საზღვრის კონტროლი და ემიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება დაევალა. ეს ცვლილებები მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ქართული პოლიციის დემილიტარიზაციის საკითხში. 2008 წლისათვის სამინისტროში დასაქმებული იყო დაახლოებით 15,000 პირი, დაცვის პოლიციეს გამოკლებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მანდატი პირდაპირ არ ასახავს უმცირესობების დაცვის საკითხს, და ის არ არის პასუხისმგებელი ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა, ადგილობრივი პოლიციის დეპარტამენტების ქმედებები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაზე. ამის გამო, მნიშვნელოვანია, რომ ძალოვანმა სტრუქტურებმა მხედველობაში მიიღონ უმცირესობათა რეგიონების სპეციფიკა, განსაკუთრებით ახალი თანამშრომლების მიღების დროს, რაც ეროვნულ უმცირესობათა თემისთვის ძალიან მგრძნობიარე საკითხია. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სამინისტროს შემადგენლობაში სპეციალური უმცირესობების სტრუქტურა არ შედის, უმცირესობების საკითხებთან მიმართებაში პოზიტიური დამოკიდებულება შეინიშნება სამინისტროს მხრიდან. ამ მიმართულებით პირველი დამაიმედებელი ნაბიჯი იყო, სამინისტროს მზადყოფნა კონსულტაცია გაემართა უმცირესობათა წარმომადგენლებთან უმცირესობებისათვის პრობლემატურ სხვა და სხვა საკითხებზე. მაგალითისათვის, 2005 წელს, არაფორმალურად, უმცირესობების საკითხებში მინისტრის მრჩეველის სპეციალური პოსტი შეიქმნა. აღნიშნული პოსტი ბერძნული თემის წარმომადგენელმა კირიაკი იორდანოვმა დაიკავა, რომლის მოვალეობაა გაანალიზოს და დასახოს პრობლემების გადაჭრის გზები

მრავალეთნიკურ ქვემო ქართლის რეგიონთან მიმართებაში. სამინისტრო საჭიროებისამებრ კონსულტაციებისათვის მიმართავას სახალხო დამცველის აპრატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს.

ეროვნული უმცირესობებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამთავრობო ინსტიტუტების სხვა და სხვა სტრუქტურასა და დეპარტამენტებში დასაქმების თანაბარი შესაძლებლობებს. არაოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, სამინისტროში 2008 წლიდან 260 ახალ მიღებულ პატრულის თანამშრომელს შორის თერთმეტი ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებოდა, ე.ი. 4.2%. საპატრულო პოლიციაში დასაქმება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის ჩაბარების შედეგად ხდება. ზოგადად გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ეროვნული უმცირესობებისათვის რუსული ტესტებიც შექმნილია. როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესებულია სპეციალური ზომების გატარებით, მოახდინოს უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართვა მის სტრუქტურებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაძლებელია დაარსდეს ე.წ. „სათემო პოლიციის“ მოდელი, რომელიც მოსახლეობაზე ორიენტირებული პოლიციის ახალი ფორმა. „სათემო პოლიციის“ კონცეფცია უმცირესობებზე ორიენტირებულ კომპონენტსაც შეიცავს, რომლის მიზანია ნდობის გაღრმავება პოლიციასა და საზოგადოებას შორის, უმცირესობების რეგიონების ჩათვლით.

III. ინსტიტუტები საკანონმდებლო დონეზე

რამდენიმე საპარლამენტო კომიტეტი ამა თუ იმ ფორმით, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სახითხებში აქტიურად არის ჩართული. ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობა კი უშუალოდ მიმართულია ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების მოგვარებისკენ. მაგალითისათვის, კომიტეტი პასუხისმგებელია, ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობისა და სამოქალაქო ინტეგრაციისთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის მონიტორინგსა და ადამიანის უფლებათა დაცვასა და სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე.¹⁸

კომიტეტი შეიქმნა 1995 წელს, რომელსაც თავადაპირველად ოსური უმცირესობის თემის წარმომადგენელი კონსტანტინე კოკოვეი ხელმძღვანელობდა. კომიტეტის მომდევნო, ორი ვადით, ელენე თევდორაძე ხელმძღვანელობდა. ამჟამად კომიტეტის თავმჯდომარეა გიორგი არსენიშვილი, რომელიც 2008 წლის მაისში დაინიშნა ამ თანამდებობაზე.

ეროვნული უმცირესობების საკითხის კუთხით, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის რატიფიკაციისას ერთ-ერთი მნიშვნელოვან უწყებას წარმოადგენდა. კერძოდ კი, 2005 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციის შესახებ რეზოლუციის მიღების პროცესამდე, კომიტეტმა - საგარეო საქმეთა, ევრო-ინტეგრაციის, იურიდიულ საკითხთა, რეგიონალური პოლიტიკის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტებთან ერთად მოამზადა დადებითი დასკვნები ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციისასთან დაკავშირებით და პარლამენტს მისი რატიფიცირების შესახებ რეკომენდაცია გაუწიეს. წარსულში, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი მრავალი წლის განმავლობაში ეროვნულ უმცირესობათა დაცვისა და ინტეგრაციის სახელმწიფო კონცეფციაზე მუშაობდა. თუმცა, ეს სახელმწიფო კონცეფცია არ დამტკიცებულა. სახელმწიფო კონცეფციის შემუშავების

¹⁸ ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წესდება, დამტკიცებულია 2008 წლის 13 ივნისს პარლამენტის მიერ.

დროს, კომიტეტმა მოამზადა ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა და პარლამენტს მისი მიღებასაკენ მოუწვებდა.

ახლო ხანებში ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი და სხვა შესაბამისი კომიტეტები ასევე უფლებამოსილნი იქნებიან განიხილონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიასთან დაკავშირებული საკითხები, აღნიშნული ქარტია ევროპის საბჭოს წინაშე საქართველოს ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს. კიდევ ერთი ჯერჯერობით შეუსრულებელ ვალდებულებას ევროპის საბჭოს წინაშე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ კანონის მიღება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობს საქართველოს პარლამენტში. ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ცალკე კანონის მიღების ნაცვლად, დეპუტატებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ არსებულ საკანონმდებლო ნორმებში, რომლებიც უმცირესობებს შეეხება, ცვლილებების შეტანა და არა ცალკე კანონის დამტკიცება.

უმცირესობის საკითხებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ასევე რეგიონალური პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიან რეგიონების კომიტეტის როლი. ამ კომიტეტის ამოცანაა ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების რეფორმირება. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი უმცირესობების საკითხებს არ ეხება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეფორმირების საკითხი დიდ ინტერესს იწვევს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ამასთანავე, თანმიმდევრულ რეგიონალურ პოლიტიკას და რეფორმას დეცენტრალიზაციის შესახებ, დიდი გავლენა ექნება ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პროცესზე.

მიმდინარე დეცენტრალიზაციის რეფორმის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის რატიფიცირება მოახდინა. რეგიონალური პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი კანონპროექტიც მომზადდა და 2005 წელს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ქონების შესახებ. დამატებით, 2005 წლის საშემოდგომო სესიაზე, საქართველოს პარლამენტმა

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონი მიიღო და მხარი დაუჭირა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაარსებასა და მათი საქმიანობის გარანტირებულ განხორციელებას.

წარსულში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, რომელიც მემკვიდრეობით საბჭოთა საქართველოდან მოდის, ეფუძნებოდა მმართველობის ოთხ დონეს: ადგილობრივს (თემი), რაიონულს (რაიონი), ავტონომიურ რეგიონალურ/რესპუბლიკურ და ცენტრალურ დონეს. ცენტრალიზირებული სისტემის ჩარჩოს ფარგლებში, სამთავრობო სტრუქტურების ყველა დაბალი დონეები დამოკიდებული იყო მაღლა მდგომ სამთავრობო უწყებებზე კომპეტენციის განაწილების კუთხით, ასევე რესურსების გადაცემისა და გამოყენების თვალსაზრისით. საქართველოს ახალი დეცენტრალიზაციის რეფორმა კი, პირიქით ადგილობრივი თვითმმართველობის ერთი დონის სისტემას გულისხმობს. ის ქალაქები რომლებიც არც ერთ რაიონს არ მიეკუთვნებოდა წარსულში (ადგილობრივი თვითმმართველობითი ქალაქები) და მუნიციპალიტეტები – შერეული ტიპის დასახლებები (სოფლები, რაიონული ქალაქები, ქალაქები) – დღეს მიჩნეულია ადგილობრივ თვითმმართველობით ერთეულებად. 2005 წლის 5 ოქტომბერს მიღებული ორგანული კანონის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი არჩევნები ჩატარდა. ეროვნული უმცირესობების თვალსაზრისით, დეცენტრალიზაციის რეფორმა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ მექანიზმად, რომელიც ადგილობრივ დონეზე გააუმჯობესებს ეროვნული უმცირესობების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას. 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად ეროვნულ უმცირესობათა განაწილება ადგილობრივ არჩევით ორგანოებში გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, თუმცა თუ გავითავლისწინებთ ქვეყანაში უმცირესობათა ზოგად პროცენტულ მაჩვენებელს, მათი მონაწილეობის დონე მაინც არაპროპორციულად დაბალია. მაგალითისათვის, არჩევნების შემდეგ, მთლიანობაში საკრებულოს 1716 წევრიდან 159 მიეკუთვნებოდა უმცირესობებს, რომელიც საერთო ჯამში 9.27 %-ია მაშინ როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 16.25%-ს უმცირესობები წარმოადგენენ.

რეგიონალური პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის გარდა, დეცენტრალიზაციის რეფორმაში მონაწილეობას ღებულობს ტერიტორიული მოწყობისა და ეფექტური მმართველობის სახელმწიფო კომისია – სამინისტროთაშორისი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც 2004 წლის ნოემბერში პრეზიდენტის დაქვემდებარების ქვეშ შეიქმნა – და მისი აღმასრულებელი სტრუქტურა ეფექტური მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი (CEGSTAR), რომელიც დაფუძნდა 2006 წლის მარტში.¹⁹

¹⁹ დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ CEGSTAR –ის ვებ-გვერდს: www.cegstar.ge

დასკვნა

ზემოთ განხილულ იქნა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს ინსტიტუციური სტრუქტურები, რომლებიც უშუალოდ, თუ არაპირდაპირ უკავშირდება უმცირესობების საკითხს. გარდა იმისა, რომ არსებობს სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ოფიციალურად პასუხისმგებელია ეროვნული უმცირესობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე (თავდაპირველად სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხოლო 2008 წლიდან კი რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პარატი), ასევე ფუნქციონირებს სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველის უწყება, რომელიც უძღვება პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებულ საკოორდინაციო სტრუქტურას, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭოს სახით. ამასთან, ოთხი სამინისტრო სხვა და სხვა დონეზე მრავალ სფეროში უშუალოდ ეხებიან უმცირესობების საკითხს, ესენია: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო, ლტოლვილთა და განსახლების და საგარეო საქმეთა სამინისტროები.

საკანონმდებლო სტრუქტურებში შედის ერთი საპარლამენტო კომიტეტი (ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი), რომელიც უშუალოდ უმცირესობების საკითხებს განიხილავს და სხვა დანარჩენი კომიტეტები (რეგიონალური პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი, საგარეო ურთიერთობა, ევრო-ინტეგრაციისა და იურიდულ საკითხთა კომიტეტები). დაბოლოს, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო.

როგორც ვხედავთ, საქართველოში აღმსარულებელ და საკანონმდებლო დონეზე მთელი რიგი სტრუქტურები არსებობენ, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ჩართულები არიან ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინსტიტუტთაგან უმრავლესობა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაარსდა, რაც მკაფიოდ მიუთითებს საქართველოს მთავრობის ნებაზე გააუმჯობესოს სამოქალაქო

ინტეგრაციისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხი. თუმცა, ინსტიტუტების სტრუქტურული გაუმართაობა და არაკოორდინირებულობა, სათანადო პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებას აბრკოლებს. ბოლო პერიოდამდე, რთული იყო იმის გარკვევა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების საკითხში რომელ ინსტიტუტს ენიჭებოდა წამყვანი ფუნქცია ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკის სფეროში და რაში მდგომარეობდა ამ სფეროში ინსტიტუციური მოწყობის მთავარი მიზანი და კონცეფცია. მანდატის მიხედვით, ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ პოლიტიკაში წამყვანი როლი რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს ეკისრებოდა, მაგრამ საწყის ეტაპზე სამინისტროს ინსტიტუციური შესაძლებლობის არასაკმარისობის გამო და ასევე მისი წინამორბედის, სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციაც ამ კუთხით მხოლოდ ფორმალურად იყო გაწერილი.

შემწეობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ, დოკუმენტში ხაზი გაესვა სახელმწიფო პრიორიტეტებს, ინტეგრაციის მისაღწევად გასატარებელ პრაქტიკულ ზომებს, ნათელი გახდა რომელი სტრუქტურები ჩაერთვებიან პოლიტიკის შემუშავებასა და შესრულების პროცესში და რომელი უწყებები იქნებიან სპეციფიკურ ამოცანებზე პასუხისმგებელნი. ეროვნულ კონცეფციის მიღების შედეგად, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პარატს, ოფიციალურად ეროვნულ უმცირესობების საკითხებში მთავარი აღმსარებელი სტრუქტურის ფუნქცია დაეკისრა, ასევე როგორც სამოქმედო გეგმით გაწერილ აქტივობების შესრულებაზე და კოორდინაციის გაწევა. შემწეობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო და პრეზიდენტის მრჩეველი, ინტეგრაციის კუთხით აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუციური სისუსტეს გამო, წარსულში მთავარ როლს ასრულებდა უმცირესობებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში, ამჟამად კი მათ უფრო პოლიტიკის განხორციელებაში ფასილიტატორის ფუნქცია დაეკისრა, რომელიც გამოიხატება სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგის გაუწევაში. ამავდროულად, სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ფუნქციები გაფართოვდება. როგორც

ეროვნულ უმცირესობათა საკონსულტაციო სტრუქტურა, მას შესწევს უნარი სამოქმედო გეგმის შესრულებას გაუწიოს მონიტორინგი და პარალელურად უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობითი მექანიზმის არსებობა სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის განვითარებისა და შესრულების პროცესში. საბოლოოდ თუ შევაჯამებთ, ეროვნული კონცეფციის მთავარი მიღწევაა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული ღონისძიებების და ამოცანების საერთო, უნიფიცირებული მიზნის ქვეშ გაერთიანება, მაშინ როდესაც წარსულში პასუხისმგებლობები და სტრატეგიები ნაწილდებოდა სხვა და სხვა სტრუქტურებზე, რომლებიც კონსულტაციებისა და კოორდინაციის გამართვის გარეშე მოქმედებდნენ. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ კი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის სამოქმედო გეგმის განხორციელების საკითხში კოორდინაცია იქნა უზრუნველყოფილი.

დაბოლოს, საქართველოს მთავრობის მიერ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიღებამ, თეორიულად, ეროვნულ უმცირესობათა საკითხების შესახებ თანმიმდევრული და ადეკვატური ინსტიტუციური სისტემა ჩამოაყალიბა. დასახული მიზნების პრაქტიკული შესრულება მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად განხორციელდება პრაქტიკული მნიშვნელობის მექანიზმები, და აღსრულების პროცესში, რამდენად მოხდება უწყებებს შორის კოორდინაციული ქმედებები. ამის უზრუნველყოფის გარეშე, ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულება სირთულეების წინაშე დადაგება, რაც თავის მხრივ დაინტერესებული მხარეების იმედების გაუცრულებას გამოიწვევს. ეროვნულ უმცირესობათა სფერომ უკვე განიცადა ნეგატიური შედეგები სუსტი ინსტიტუციური მენეჯმენტის გამო, რომელიც ასევე შეინიშნებოდა 2004-2008 წლებში, როდესაც ეროვნულ უმცირესობათა და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელება ხასიათდებოდა ცუდი კოორდინაციით, პასუხისმგებელი უწყებების დაუხვეწავი და ბუნდოვანი სამოქმედო გეგმებით, თუ სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ კომპეტენციების გადაფარვით.

დანართი 1

ინსტიტუტები აღმასრულებელ დონეზე, რომლებიც დაარსდა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, მაგრამ გაუქმდა სამთავრობო ცვლილებების შედეგად

1. სახელმწიფო მინისტრის აპარატი ეროვნული თანხმობის საკითხებში

სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2004 წლის 13 აპრილს დაარსდა. სახელმწიფო მინისტრად დაინიშნულ იქნა გამსახურდიას მთავარობის ფინანსთა მინისტრი გურამ აბსნაძე. ამ სტრუქტურის მთავარი დანიშნულება იყო ქართულ საზოგადოებაში ეროვნული თანხმობის მიღწევა და განსაკუთრებით 1991-1993 წლების სამოქალაქო ომის შედეგად დარჩენილი ნეგატიური დამოკიდებულების აღმოფხვრა, რამაც საზოგადოების პოლარიზება და გამსახურდიას მომხრეებსა და მათ ოპონენტებს შორის დაპირისპირება გამოიწვია. ეროვნული თანხმობის საკითხში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაარსება ამ პოლიტიკის ინსტიტუციური საფუძვლის შექმნას ისახვდა მიზნად.

თუმცა, დასახული მთავარი ამოცანებისა და მიზნების გარდა, სახელმწიფო მინისტრის ფუნქციაში, წესდების მიხედვით, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებიც შედიოდა, როგორცაა რეგიონალური საკითხები და უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკა. ამ ამოცანების შესრულების მიზნით, ეროვნული თანხმობის საკითხში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შემდეგი მიზნები დაისახა, მათ შორის იყო “კვლევების ჩატარება ეთნიკური კონფრონტაციის კონკრეტულ შემთხვევებზე და მათ დროულ რეაგირებაზე, კონფლიქტებისა და სოციოლოგიური სწავლის სამეცნიერო ცენტრის დაფუძნება, ეროვნული თანხმობის მისაღწევად სოციალურ-ეკონომიკური და მათი მიღწევების მონიტორინგისთვის საჭირო პროექტები შემუშავება”.²⁰

ეროვნული თანხმობის საკითხში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ორი დეპარტამენტისაგან შედგებოდა: ქვეყანაში ეროვნული თანხმობის პოლიტიკის შემუშავების დეპარტამენტი, რომელიც იურიდიულ საკითხებსა და რეგიონებთან ურთიერთობებსაც მოიაზრებდა, და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც საქართველოდან ემიგრაციაში წასულ მოქალაქეებზე ამახვილებდა ყურადღებას. ეს დეპარტამენტი ინფორმაციულ-ანალიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა. ამ უკანსაკნელის მიზანი იყო ეროვნულ უმცირესობებს, დიასპორებს, სოციალურ ორგანიზაციებს, თემებს და ინდივიდებს შორის თანამშრომლობის გაღვივება; ეროვნული თანხმობის პოლიტიკაზე დაყრდნობით ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის გაღრმავება სხვა და სხვა კონფესიებს შორის; რეგიონების რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების პროცესში

²⁰ ეროვნული თანხმობის შესახებ სახელმწიფო სამინისტროს წესდება, დამტკიცებულია 2004 წლის 13 აპრილს, პრემიერ-მინისტრის მიერ.

კოორდინაციის უზრუნველყოფა ეროვნული თანხმობის განვითარების კუთხით.

როგორც ვხედავთ, სამინისტროს მიზნებში ეთნიკურ ურთიერთობებსა და უმცირესობათა საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, თუმცა ამ უწყების შექმნის უმთავრეს ამოცანას ქართულ საზოგადოებას შორის ეროვნული თანხმობის მიღწევას წარმოადგენდა, კერძოდ კი გამსახურდიას მომხრეებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის. სამინისტროს მიერ ამბიციური მიზნის დასახვის მიუხედავად, არანაირი ეფექტური ზომა, ან ქმედება არ გატარებულა ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის კუთხით. სტრუქტურაში ინტერ-ეთნიკურ ურთიერთობებისა და კონფლიქტების საკითხების არც ერთი ექსპერტი არ შედიოდა. სამინისტროს თანამშრომლების აბსოლუტური უმრავლესობა ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებით იყო დაკომპლექტებული, მათ შორის თავად გურამ აბსნაძეც.

ამ უწყების მთავარი მიღწევა იყო გამსახურდიას მომხრეების განიარაღება, რომლებიც სამეგრელოს რაიონის ტყეებს აფარებდნენ თავს. ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ მოკლე პერიოდში, 2004 წელს, ქაშუეთის ეკლესიაში მათთან ეროვნული თანხმობის დეკლარაციას მოეწერა ხელი, რის შემდეგაც ამ უწყების არსებობის საჭიროება აღარ შეიქმნა, შედეგად 2004 წლის დეკემბერში სამინისტრო გაუქმდა. თავად გურამ აბსნაძე რამდენიმე ხნით პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილედ დაინიშნა.

2. პრეზიდენტთან არსებული ინტერ-ეთნიკური ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტი

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატი ეროვნული თანხმობის საკითხებში გაუქმდა, რეალურად ის გადაკეთდა მსგავსი სახის უწყებად, ამჯერად დეპარტამენტის სტატუსით პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაექვემდებარებაში. 2005 წლის თებერვალში ინტერ-ეთნიკური ურთიერთობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტი დაფუძნდა, ხოლო მის ხელმძღვანელად კი დაინიშნა გურამ აბსნაძის სამინისტროს აპარატის ყოფილი უფროსი სოსო ლაგვილავა. დეპარტამენტში არსებულ სხვა თანამდებობებზეც ყოფილი სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები დაინიშნენ.

დეპარტამენტის სტრუქტურა და ფუნქცია გარკვეულწილად ბუნდოვანი იყო, ვინაიდან მისი საქმიანობის ამსახველი არანაირი წერილობითი დოკუმენტი არ არსებობდა. შედეგად, დეპარტამენტი არაოფიციალურ, თვით-დაწესებულ რეგულაციებს ეფუძნებოდა. დეპარტამენტის ძირითად საქმიანობას უმცირესობათა წარმომადგენლებთან კონსულტაციები და შეხვედრები წარმოადგენდა. როგორც დეპარტამენტის აპარატის წამყვანი თანამშრომლები აღნიშნავენ, სერიოზული აქტივობების განსახორციელებლად ბიუჯეტიდან საკმარისი თანხა არ იყო გამოყოფილი.²¹ დეპარტამენტის ბიუჯეტი მხოლოდ ხელფასებს ფარავდა, რომელიც ინსტიტუტის არაეფექტურობას უწყობდა

²¹ ინტერვიუ სოსო ლაგვილავასთან, დეპარტამენტის უფროსი და მანგული ხუბუასთან, ინტერ-ეთნიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2006 წლის 23 იანვარი..

ხელს. დეპარტამენტი არანაირი სახელმწიფო სტრატეგიისა და პროგრამის შექმნაზე არ იყო პასუხისმგებელი. დეპარტამენტის არსებობის ერთადერთ დასაბუთებად კაბინეტში გურამ აბსნაძის მომხრეების და მხარდაჭერების შენარჩუნება იყო, ვიანიდან ისინი მონაწილეობას იღებდნენ „ვარდების რევოლუციაში“ და სამეგრელოს რეგიონზე გარკვეულ პოლიტიკურ ზეგავლენას ფლობდნენ. 2006 წლის ნოემბერში სამთავრობო რეორგანიზაციის შედეგად დეპარტამენტი გაუქმდა (ეროვნულ უმცირესობათა ინსტიტუციონალური ცვლილებების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი 2).

დანართი 2

ვარდების რევოლუციის შემდეგ სამთავრობო ცვლილებები

1. ვარდების რევოლუციის შემდეგ 2004 წლის 17 თებერვალს ჩამოყალიბებული პირველი მთავრობა

| | სამინისტროები | მინისტრები | პირველი ცვლილება 2004 წლის 10 ივნისი | მეორე ცვლილება 2004 წლის 27 დეკემბერი |
|----|---|--------------------|--------------------------------------|--|
| | პრემიერ მინისტრი | ზურაბ ჟვანია | | |
| 1 | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | კახა ლომია | | |
| 2 | კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო | გოკა გაბაშვილი | | |
| 3 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | თამარ ლებანიძე | | |
| 4 | ენერგეტიკის სამინისტრო | ნიკა გილაური | | |
| 5 | სოფლის მეურნეობის სამინისტრო | დავით შერვაშიძე | | შერვაშიძე შეცვალასვიმონიშვილმა |
| 6 | ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტრო | თამარ სხულუხია | სამინისტრო გაუქმდა | |
| 7 | თავდაცვის სამინისტრო | გელა ბეჟუაშვილი | ბეჟუაშვილი შეცვალა ბარამიძემ | ბარამიძე შეცვალა ოქრუაშვილმა |
| 8 | შინაგან საქმეთა სამინისტრო | გიორგი ბარამიძე | ბარამიძემ შეცვალა ოქრუაშვილმა | ოქრუაშვილი შეცვალა მერაბიშვილმა |
| 9 | უშიშროების სამინისტრო | ზურაბ ადგიშვილი | ადგიშვილი შეცვალამერაბიშვილმა | სამინისტრო გაუქმდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუერთდა |
| 10 | ფინანსთა სამინისტრო | ზურაბ ნოღაიდელი | | |
| 11 | ეკონომიკის სამინისტრო | ირაკლი რეხვიაშვილი | | ბენდუქიძე შეცვალა ალექსიშვილმა |
| 12 | ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო | ეთერ ასტემიროვა | | |
| 13 | საგარეო საქმეთა სამინისტრო | თედო ჯაფარიძე | | |
| 14 | იუსტიციის სამინისტრო | გიორგი პაპუაშვილი | | |
| 15 | ჯანდაცვის, შრომის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო | გივი წერეთელი | | |
| 16 | ეროვნული თანხმობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი | გურამ აბსნაძე | | სახელმწიფო სამინისტრო გაუქმდა |
| 17 | ევროპული ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი | თამარ ბერუხაშვილი | | ბერუხაშვილი შეცვალა ბარამიძემ |
| 18 | კონფლიქტების მოგვარების საკითხში სახელმწიფო მინისტრი | გიორგი ხაინდრავა | | |
| 19 | მცირე და საშუალო ბიზნესის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი | ჯამბულ ბაკურაძე | | სახელმწიფო სამინისტრო გაუქმდა |

| | მესამე ცვლილება 2005 წლის 17 თებერვალი | მეოთხე ცვლილება 2006 წლის 24 ივლისი | მეხუთე ცვლილება 2007 წლის 7 სექტემბერი | მეექვსე ცვლილება 2007 წლის 22 ნოემბერი | მეშვიდე ცვლილება 2008 წლის 31 იანვარი |
|----|---|--|---|---|---|
| | ჟვანია შეცვალა ნოლაიდელმა | | | ნოლაიდელი შეცვალა გურგენიძემ | |
| 1 | | | | ლომაია შეცვალა მიმინოშვილმა | მიმინოშვილი შეცვალა ნოდიამ |
| 2 | | | | | გაბაშვილი შეცვალა ვანჩიშვილმა |
| 3 | ღებანიძე შეცვალა პაპუაშვილმა | პაპუაშვილი შეცვალა ტყეშელაშვილმა | ტყეშელაშვილი შეცვალა ჩანტლაძემ | | ჩანტლაძე შეცვალა გამცემლიძემ |
| 4 | | | გილაური შეცვალა ხეთაგურმა | | |
| 5 | | | | | |
| 6 | | | | | |
| 7 | | | | | |
| 8 | | | | | |
| 9 | | | | | |
| 10 | ნოლაიდელი შეცვალა ჩენელაშვილმა | | ალექსიშვილი შეცვალა გილაურმა | | |
| 11 | | | | | არველაძე შეცვალა შარაშიძემ |
| 12 | | | | ხევიაშვილი შეცვალა სუბელიანმა | სახელმწიფო სამინისტროდ გადაკეთდა |
| 13 | | | | | ბეჟუაშვილი შეცვალა ბაქრაძემ |
| 14 | პაპუაშვილი შეცვალა კემულარიამ | | ქავთარაძე შეცვალა ტყეშელაშვილმა | | ტყეშელაშვილი შეცვალა გვარამიამ |
| 15 | | | ჭიპაშვილი შეცვალა ტყეშელაშვილმა | | ტყეშელაშვილი შეცვალა კვიტაშვილმა |
| 16 | | | | | |
| 17 | | | | | |
| 18 | | ხაინდრავა შეცვალა ანთაძემ | | | სახელმწიფო სამინისტრო გაუქმდა |
| 19 | | | | | |

| | მერვე ცვლილება 2008 წლის 1 ნოემბერი | მეცხრე ცვლილება 2009 წლის 6 თებერვალი |
|----|--|--|
| | გურგენიძე შეცვალა მგალობლიშვილმა | მგალობლიშვილი შეცვალა გილაურმა |
| 1 | | |
| 2 | ვანჩიშვილი შეცვალა ვაშაძემ | |
| 3 | გვალაძე შეცვალა ხაჩიძემ | |
| 4 | | |
| 5 | | |
| 6 | | |
| 7 | | |
| 8 | | |
| 9 | | |
| 10 | | გილაური შეცვალა ბაინდურაშვილმა |
| 11 | | |
| 12 | მარტიაშვილი შეცვალა სუბელიანმა | |
| 13 | | |
| 14 | გვარამია შეცვალა ადგიშვილმა | |
| 15 | | |
| 16 | | |
| 17 | | |
| 18 | | |
| 19 | | |

2. სამინისტროები, რომლებიც პირველი კაბინეტის დამტკიცების შემდეგ შექმნა ან გაუქმდა

| | სამინისტროები | მინისტრები | პირველი ცვლილება 2004 წლის 10 ივნისი | მეორე ცვლილება 2004 წლის 27 დეკემბერი |
|---|--|--------------------|---|--|
| 1 | სახელმწიფო მინისტრი რეგიონალური მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში | ზურაბ მელიქიშვილი | სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა | სახელმწიფო მინისტრის აპარატი გაუქმდა |
| 2 | სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში | ზინაიდა ბესტაევა | | სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა |
| 3 | სახელმწიფო მინისტრი რეფორმების კოორდინაციის საკითხებში | კახა ბენდუქიძე | | სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა |
| 4 | სახელმწიფო მინისტრი რეგიონალური განვითარების საკითხებში | დავით ტყეშელაშვილი | | |
| 5 | სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში | იულონ გაგოშიძე | | |
| 6 | სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში | თემურ იაკობაშვილი | | |

| | მესამე ცვლილება 2005 წლის 17 თებერვალი | მეოთხე ცვლილება 2006 წლის 24 ივლისი | მეხუთე ცვლილება 2007 წლის 7 სექტემბერი | მეექვსე ცვლილება 2007 წლის 22 ნოემბერი | მეშვიდე ცვლილება 2008 წლის 31 იანვარი | მერვე ცვლილება 2008 წლის 1 ნოემბერი | მეცხრე ცვლილება 2009 წლის 6 თებერვალი |
|---|--|---|--|--|--|---|--|
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | სახელმწიფო მინისტრის აპარატი გაუქმდა | | |
| 3 | | | | | სახელმწიფო მინისტრის აპარატი გაუქმდა | | |
| 4 | | | | | სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა | | გადაკეთდა სამინისტრო დ |
| 5 | | | | | სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა | | |
| 6 | | | | | სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნა | | |

3. ამჟამად არსებული კაბინეტი, დამტკიცებულია 2009 წლის 6 თებერვალს

| | სამინისტროები | მინისტრები |
|----|--|---------------------|
| | პრემიერ მინისტრი | ნიკა გილაური |
| 1 | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | ნიკა გვარამი |
| 2 | კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო | ნიკა რურუა |
| 3 | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | გიორგი ხაჩიძე |
| 4 | ენერგეტიკის სამინისტრო | გიორგი ხეთაგური |
| 5 | სოფლის მეურნეობის სამინისტრო | ბაკურ კეჭერელი |
| 6 | თავდაცვის სამინისტრო | დავით სიხარულიძე |
| 7 | შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვანო მერაბიშვილი |
| 8 | ფინანსთა სამინისტრო | კახა ბაინდურაშვილი |
| 9 | ეკონომიკური განვითარების სამინისტრო | ლაშა ჟვანია |
| 10 | ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო | კობა სუბელიანი |
| 11 | საგარეო საქმეთა სამინისტრო | გრიგოლ ვაშაძე |
| 12 | იუსტიციის სამინისტრო | ზურაბ ადგიშვილი |
| 13 | ჯანდაცვის, შრომის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო | ალექსანდრე კვიციანი |
| 14 | რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | დავით ტყეშელაშვილი |
| 15 | სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო | დიმიტრი შაშკინი |
| 16 | სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში | გიორგი ბარამიძე |
| 17 | სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში | იულენ გაგოშიძე |
| 18 | სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში | თემურ იაკობაშვილი |

დანართი 3

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ მთავრობის შემადგენლობაში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული სტრუქტურების შექმნა და გაუქმება

| სამინისტროები და სხვა სტრუქტურები | უწყებებში შემაჯავლი შესაბამისი სტრუქტურები | დაარსდა | გაუქმდა |
|--|--|---|------------------------|
| სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში | არანაირი განსაზღვრული სტრუქტურა | 2004 წლის 17 თებერვალს | 2008 წლის 31 იანვარს |
| სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში | ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციისა სამმართველო ადამიანის უფლებათა სამმართველო | 2008 წლის 31 იანვარს 2008 წლის 31 იანვარს | |
| სახელმწიფო მინისტრი ეროვნული თანხმობის საკითხებში | ინტერ-ეთნიკურ ურთიერთობათა სამმართველო | 2004 წლის 17 თებერვლს | 2004 წლის 27 დეკემბერს |
| სახელმწიფო მინისტრი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში | ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის სამმართველო | 2004 წლის 27 დეკემბერს | 2008 წლის 31 იანვარს |
| პრეზიდენტის ადმინისტრაცია | პრეზიდენტის მრჩეველი შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო ინტერეთნიკური ურთიერთობების დეპარტამენტი | 2006 წლის იანვარი 2005 წლის აგვისტო 2005 წლის თებერვალი | 2006 წლის ნოემბერს |
| სახალხო დამცველის ოფისი | ეროვნულ უმცირესობათა საბჭო | 2005 წლის დეკემბერი | |

დანართი 4

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია

I. შესავალი

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციისა (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, 2005 წელი) და „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს №639 განკარგულების საფუძველზე. მისი ძირითადი მიზანია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის მიზნით შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილ იყო ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. დოკუმენტის პროექტი მომზადდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველი, ეროვნული უმცირესობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები. პროექტის მომზადების პროცესში მუდმივი კონსულტაცია მიმდინარეობდა სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნული უმცირესობების საბჭოსთან. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭო აგრეთვე რეგულარულად მართავდა შეხვედრებს ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობასთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო სტრატეგიასა და ამოცანებს ექვსი ძირითადი მიმართულებით: კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებსა და პროგრამებს ეროვნული კონცეფციის სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით, რომლებიც მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. სამოქმედო

გეგმის შესაბამისი კომპონენტების განხორციელების ვალდებულება ეკისრება მასში მითითებულ კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებს.

სამოქმედო გეგმის განხორციელებას კოორდინირებას უწევს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული პოლიტიკის შესაბამისად, ყოველი თვის 5 რიცხვამდე წარუდგენენ მას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშებს. ყოველი წლის 10 დეკემბერს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ საბჭოს მოხსენებას პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ.

სამოქმედო გეგმის განხორციელებას მონიტორინგს უწევს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭო, რომელიც საჭიროებისამებრ შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით და განიხილავს წინადადებებს სამოქმედო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოქმედება არ შემოიფარგლება იმ ადგილებით, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით არიან დასახლებულნი ეროვნული უმცირესობები.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

II. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიზნები

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიზნებია:

ა) ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს შორის;

ბ) საქართველოს ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა თანაბარი შესაძლებლობით სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობისათვის;

გ) აუცილებელი პირობების შექმნა საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში იმ პირთა ეფექტიანი მონაწილეობისათვის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან;

დ) ეროვნული უმცირესობებისათვის განათლების ყველა საფეხურის თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ზოგადი განათლების სფეროში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფა;

ე) აუცილებელი პირობების შექმნა ეროვნული უმცირესობების კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, მათი თვითმყოფადობის

ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

III. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის პრინციპები

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის პრინციპებია:

ა) საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ტოლერანტობის ტრადიციის განმტკიცება;

ბ) ბალანსის შენარჩუნება სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული უმცირესობების იდენტობის დაცვას შორის, სამოქალაქო ინტეგრაციის ნებაყოფლობითობა და იძულებითი ასიმილაციის დაუშვებლობა;

გ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა თავისუფალი არჩევანის უფლება – მოექცნენ თუ არა მათ, როგორც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს;

დ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლება, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად განახორციელონ ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციისა და ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციიდან;

ე) ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობა ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება მათი იდენტობის დაცვასა და განვითარებას;

ვ) შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა.

IV. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ძირითადი მიმართულებები

1. კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც მოიცავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაცია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან;

ბ) ეროვნული უმცირესობების მიერ მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

გ) დისკრიმინაციული მოპერობისგან ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა;

დ) საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება ეროვნული უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

2. განათლება და სახელმწიფო ენა

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საწყის ეტაპზე აუცილებელია ეროვნული უმცირესობების მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, დაეუფლონ ქართულ ენას, და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება. ამ მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ა) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა;
- გ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- დ) სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა;
- ე) განათლების სფეროში საჯარო დისკუსიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

3. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ეროვნული უმცირესობების ინფორმირების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, რომლის ეთერშიც 2005 წლიდან გადის საინფორმაციო პროგრამები ეროვნული უმცირესობების ენებზე. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული ბიუჯეტის არანაკლებ 25% უნდა მოხმარდეს უმცირესობების ენებზე მომზადებული პროგრამების გადაცემას. სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონისა და ქართული სამაუწყებლო მედიის ძირითადად ქართულენოვანი მაუწყებლობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სპეციალური ღონისძიებების გატარება ეროვნული უმცირესობების ჯეროვანი ინფორმირების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ა) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ბ) ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გ) სამაუწყებლო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების გაშუქებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- დ) ეროვნული უმცირესობების ენებზე ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა;
- ე) მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა.

4. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით ბოლო წლებში ტარდება საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის; ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს მათი წახალისება საჯარო სამსახურში შერჩევისას, ხოლო საარჩევნო მასალები და ბიულეტენები ქვეყნდება მათ მშობლიურ ენებზე. ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა მეტწილად დამოკიდებული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ მათ წახალისებაზე საჯარო სამსახურში მუშაობის დასაწყებად. აღნიშნული მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ა) ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა;
- ბ) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება;
- გ) ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაცია.

5. სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სხვა მასშტაბური ეკონომიკური პროექტები. ამ მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ა) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება;
- ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა;
- გ) ეროვნული უმცირესობების სოციალური და რეგიონალური მობილობის ხელშეწყობა.

6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და მათი კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო გეგმავს კონკრეტული დონის ძიებების განხორციელებას სხვადასხვა მიმართულებით, რაც მოიცავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

- ა) სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ბ) ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა;
- გ) ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

დ) ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა;

ე) საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებზე მათი წარმოჩენა.

სამოქმედო გეგმა

განათლება და სახელმწიფო ენა

| ამოცანა №1 | პროგრამის დასახელება/ღონისძიება | განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი | განხორციელების ვადები | შენიშვნა |
|--|---|---|-----------------------|----------|
| ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 1) ეროვნული უმცირესობების საგანმანათლებლო საჭიროებებზე ორიენტირებული სკოლამდელი სასწავლო პროგრამების მომზადება და პილოტირება | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009-2014 | |
| | 2) იმ რეგიონებში, სადაც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები, სასკოლო მზაობის დონის ამაღლების მიზნით სპეციალური პროგრამის შემუშავება. მშობელთა ინფორმირებულობის გაზრდა სკოლამდელი განათლებისა და კონკრეტული პროგრამების შესახებ. | ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვის საპარლამენტო ალიანსი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობა; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი | 2009-2014 | |
| ამოცანა №2 | | | | |
| ეროვნული უმცირესობების | 2.1 ეროვნული სასწავლო გეგმის თარგმნა და დანერგვის ტრენინგების ჩატარება | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეროვნული სასწავლო | 2009 | |

| | | | | | |
|---|-----|--|---|-----------|--|
| წარმომადგენელ- თათვის საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა | | | გეგმებისა და შეფასების ცენტრი | | |
| | 2.2 | სახელმძღვანელოების თარგმნა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე სკოლებში სწავლების ენის შესაბამისად | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი | 2009-2014 | |
| | 2.3 | მიზნობრივი დახმარება სარეფორმო ლონისძიებების განხორციელებაში ეროვნული უმცირესობების სკოლებისათვის, შესაბამისი პროგრამების შემუშავება და დანერგვა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009-2014 | |
| | 2.4 | მულტილინგუური სწავლების პოლიტიკის დახვეწა, პილოტირება და დანერგვა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი | 2009-2014 | |
| | 2.5 | ჟურნალის „მასწავლებელი“ გამოცემა სომხურსა და აზერბაიჯანულ ენებზე | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი | 2009-2014 | |
| | 2.6 | „მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოს“ (სამ ნაწილად) და | საქართველოს განათლებისა და | 2009-2014 | |

| | | | | | |
|---|-----|---|--|-----------|---|
| | | სხვა დამხმარე რესურსების თარგმნა სომხურსა და აზერბაიჯანულ ენებზე | მეცნიერების სამინისტრო; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი | | |
| | 2.7 | მიზნობრივი პროფესიული ტრენინგები მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციისათვის | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი | 2009-2014 | |
| ამოცანა №3 | | | | | |
| ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ- თათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდო- მობის გაუმჯო- ბესება | 3.1 | უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მოსამზადებელი- საინტეგრაციო კურსის კონცეფციის შემუშავება, პილოტირება და დანერგვა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; გამოცდების ეროვნული ცენტრი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები | 2009-2014 | საკანონმდებლო ცვლილებები და პირველი ნაკადი 2009 წ. |
| | 3.2 | „სოციალური გრანტების პროგრამა“ და სხვა მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და დანერგვა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009-2014 | |
| | 3.3 | ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა საზღვარგარეთ გაგზავნა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე | განვითარებისა და რეფორმების ფონდი | 2009-2014 | |
| ამოცანა №4 | | | | | |
| | 4.1 | არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პროგრამის დანერგვა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ეუთო | 2009-2014 | |

| | | | | | |
|--|-----|---|---|-----------|--|
| სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა | 4.2 | ქართული ენის სახელმძღვანელოების და სასწავლო რესურსების შექმნა და სრულყოფა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009-2014 | |
| | 4.3 | არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა ტრენინგი სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან (სპეციალური პროფესიული ვაუჩერი მასწავლებლებისათვის „ქართულის, როგორც საკომუნიკაციო ენის“ და „ქართულის, როგორც მეორე ენის“ შესწავლისათვის) | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი | 2009-2014 | უკვე შესულია ვაუჩერულ დაფინანსებაში |
| | 4.4 | კლასგარეშე საგანმანათლებლო და სამოქალაქო ინტეგრაციაზე ორიენტირებული პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009-2014 | |
| | 4.5 | მოზარდებისა და ზრდასრულთათვის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობის პროგრამები | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009-2014 | არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით |
| | 4.6 | ქართული ენის მასწავლებლების რეგიონებში მოზიდვისათვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009 | |
| | 4.7 | ქართული ენის შესწავლის კომპიუტერული და საინტერნეტო პროგრამები, პორტალი, საგანმანათლებლო თამაშები | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009 | |
| | | | | | |

| მედიის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | | | | |
|--|---|---|-----------------------|----------|
| ამოცანა №1 | პროგრამის დასახელება/ლონისძიება | განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი | განხორციელების ვადები | შენიშვნა |
| ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | საზოგადოებრივი მაუწყებლის გავრცელების სისტემის რეაბილიტაცია | საზოგადოებრივი მაუწყებელი | 2009-2014 | |
| ამოცანა №2 | | | | |
| ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 1) სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამები | საზოგადოებრივი მაუწყებელი | 2009-2014 | |
| | 2.1.1 „მოამბე“ აფხაზურ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ) | | | |
| | 2.1.2 „მოამბე“ ოსურ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ) | | | |
| | 2.1.3 „მოამბე“ სომხურ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ) | | | |
| | 2.1.4 „მოამბე“ აზერბაიჯანულ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ) | | | |
| | 2.1.5 „მოამბე“ რუსულ ენაზე (პერიოდულობა: კვირაში ერთხელ) | | | |
| | 2) რადიოს საინფორმაციო პროგრამები | საზოგადოებრივი რადიო FM 102.4 | 2009-2014 | |

| | | | | |
|--|--|--|-----------|--|
| 2.2.1 | საინფორმაციო გამოშვება აფხაზურ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე) | | | |
| 2.2.2 | საინფორმაციო გამოშვება ოსურ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე) | | | |
| 2.2.3 | საინფორმაციო გამოშვება სომხურ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე) | | | |
| 2.2.4 | საინფორმაციო გამოშვება აზერბაიჯანულ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე) | | | |
| 2.2.5 | საინფორმაციო გამოშვება რუსულ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე) | | | |
| 2.2.6 | საინფორმაციო გამოშვება ქურთულ ენაზე (პერიოდულობა: ყოველდღე) | | | |
| ამოცანა №3 | | | | |
| სამაუწყებლო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების გაშუქებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა | თოქ-შოუ „იტალიური ეზო“ | საზოგადოებრივი მაუწყებელი, გაეროს ასოციაცია, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში | 2009-2014 | |
| ამოცანა №4 | | | | |
| ეროვნული უმცირესობების ენებზე ელექტრონული და | 1) „ლიტერატურის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ბეჭდვითი პერიოდული გამოცემები: | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო | 2009-2014 | |
| | 4.1.1 | სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ | | |
| | 4.1.2 | აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი | | |

| | | | | | |
|----------------------------|-------|---|--|--|--|
| ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა | | „გურჯისტანი“ | | | |
| | 4.1.3 | რუსულენოვანი გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“ | | | |

ამოცანა №5

| | | | | |
|--|--|--|-----------|--|
| მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა | 1) დოკუმენტური ფილმების ციკლი „მრავალეროვანი საქართველო“ | საზოგადოებრივი მაუწყებელი, გაეროს ასოციაცია, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში | 2009-2014 | |
| | 2) საავტორო გადაცემა „ჩვენი საქართველო“ | საზოგადოებრივი რადიო FM 102.4 | 2009-2014 | |

პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

| ამოცანა №1 | პროგრამის დასახელება/ღონისძიება | განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი | განხორციელების ვადები | შენიშვნა |
|---|---|--|-----------------------|----------|
| ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა | საარჩევნო ბიულეტენების თარგმნა უმცირესობების ენებზე | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია; საერთაშორისო ორგანიზაციები | | |

ამოცანა №2

| | | | | |
|---|---|---------------------------|------|--|
| გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება | 1) თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და შემდეგ სამინისტროებს შორის; | აღმასრულებელი ხელისუფლება | 2009 | |
| | ა) რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; | | | |
| | ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; | | | |
| | გ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; | | | |
| | დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; | | | |
| | ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; | | | |
| | ვ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო; | | | |
| | ზ) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო; | | | |
| | თ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. | | | |
| | | | | |
| 2) თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება რეგიონალურ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების აპარატებს შორის | საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა | 2009 | | |

| | | | | |
|--|--|---|------------------------------|-----------------|
| შემდეგ რეგიონებში: | | და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო | | |
| ა) | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი ქვემო ქართლში; | | | |
| ბ) | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი სამცხე-ჯავახეთში; | | | |
| გ) | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი კახეთში; | | | |
| დ) | სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი იმერეთში; | | | |
| ე) | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან | | | |
| ამოცანა №2 | | | | |
| ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის პოპულარიზაცია | ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის დაბეჭდვა და გაგრძელება | რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო | 2009-2014 | |
| სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია | | | | |
| ამოცანა №1 | პროგრამის დასახელება/ღონისძიება | განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი | განხორციელების ვადები | შენიშვნა |

| | | | | | |
|---|--|--|--|-----------|--|
| ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება | 1) სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტი | | ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ | 2006-2010 | |
| | 1.1.1 | სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში საგზაო სატრანსპორტო ქსელის აღდგენა | | | |
| | 2) ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი | | ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ | 2006-2010 | |
| | 1.2.1 | ჩრდილოეთ-სამხრეთ მაგისტრალური მილსადენის დაზიანებული უბნების აღდგენა | | | |
| | 3) რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი | | ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ | 2006-2010 | |
| | 1.3.1 | მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| ამოცანა №2 | | | | | |
| ეროვნული | 1) „პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაციის“ საპრეზიდენტო პროგრამა | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009-2014 | |
| | 2.1.1 | ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაცია | | | |
| | 2) ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების და საჯარო | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009-2012 | |

| | | | | | |
|--|---|---|---|-----------|--|
| <p>უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა</p> | მოხელეთა გადამზადების სკოლა | | | | |
| | 2.2.1 | სახელმწიფო სექტორში უმცირესობის წარმომადგენელთა მოზიდვა | | | |
| | 3) იმ რეგიონების მოთხოვნებსა და სპეციფიკაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელება, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 2009-2014 | |
| | 4) წვრილი მეურნეობების გარდაქმნა მომგებიან აგრობიზნესად. აგრობიზნესის განვითარების პროექტები: | | ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ | 2006-2011 | |
| | 2.4.1 | პირველადი წარმოება | | | |
| | 2.4.2 | ფერმერთა მომსახურების ცენტრის შექმნა | | | |
| | 2.4.3 | მცირე გადამუშავება | | | |
| | 2.4.4 | საწარმოო ჯაჭვის შექმნა | | | |
| | 5) საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის პროექტი: ინვესტიციების განხორციელება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში | | ფონდი – „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ | 2006-2011 | |

კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

| ამოცანა №1 | პროგრამის დასახელება/ღონისძიება | განმახორციელებელი ორგანიზაცია/პარტნიორი | განხორციელების ვადები | შენიშვნა | |
|---|--|--|-----------------------|----------|--|
| ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება | 1) საქართველოს ეროვნული უმცირესობების კულტურის მხარდაჭერის პროგრამა: | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო; თბილისის მერია | 2009-2014 | | |
| | 1.1.1 | სსიპ – დავით ბაახოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საქმიანობის ხელშეწყობა | | | |
| | | | | | |
| | 1.1.2 | საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლი“ საქმიანობის ხელშეწყობა | | | |
| | 1.1.3 | სსიპ – მირზა ფათალი-ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის საქმიანობის ხელშეწყობა | | | |
| | 1.1.4 | საქართველოს რუსული კულტურის ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა | | | |
| 1.1.5 | სსიპ – თბილისის პეტროს | | | | |

| | | | | |
|--|--|----------------------|-----------|--|
| | ადამიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მხარდაჭერა | | | |
| 1.1.6 | სსიპ – თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის მხარდაჭერა | | | |
| 2) რეგიონალური ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებებისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა | | | | |
| 1.2.1 | ყვარელში – ბაღლოჯიანის სამუსიკო სკოლის მხარდაჭერა | ყვარლის გამგეობა | 2009-2014 | |
| 1.2.2 | ახალქალაქში – სამუსიკო და სამხარტერო სკოლის, 14 საკლუბო დაწესებულების (აქედან 10 სომხური), 4 ბიბლიოთეკის (აქედან 2 სომხური) მხარდაჭერა | ახალქალაქის გამგეობა | 2009-2014 | |
| 1.2.3 | ნინოწმინდაში – სამუსიკო სკოლის, 21 ბიბლიოთეკის (აქედან 18 სომხური), 20 საკლუბო დაწესებულების (აქედან 18 სომხური) მხარდაჭერა | ნინოწმინდას გამგეობა | 2009-2014 | |
| | | | | |
| 1.2.4 | მარნეულში – სამუსიკო სკოლის, 18 ბიბლიოთეკის (აქედან 11 აზერბაიჯანული, 4 სომხური), 4 სასოფლო კლუბის, მხარდაჭერა | მარნეულის გამგეობა | 2009-2014 | |
| 1.2.5 | წალკაში – სამუსიკო სკოლის, ბიბლიოთეკის (სომხური მოსახლეობისთვის), კულტურის | წალკის გამგეობა | 2009-2014 | |

| | | | | |
|---|--|--|--|-----------|
| | სახლის მხარდაჭერა | | | |
| 1.2.6 | გორში – ერედვის სამუსიკო სკოლის, 18 ბიბლიოთეკის (აქედან 5 ოსური), მხარდაჭერა | გორის გამგეობა | 2009-2014 | |
| 1.2.7 | გარდაბანში – 19 ბიბლიოთეკის (აქედან 1 აზერბაიჯანული, 14 შერეული), 1 კლუბის მხარდაჭერა | გარდაბნის გამგეობა | 2009-2014 | |
| 1.2.8 | ბოლნისში – 9 ბიბლიოთეკის (აქედან 2 აზერბაიჯანული) მხარდაჭერა | ბოლნისის გამგეობა | 2009-2014 | |
| 1.2.9 | ღმანისში – 4 ბიბლიოთეკის (აქედან 1 აზერბაიჯანული) მხარდაჭერა | ღმანისის გამგეობა | 2009-2014 | |
| ამოცანა №2 | | | | |
| ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა | 1) ეროვნულ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვა: | | | |
| | 2.1.1 | ეროვნული უმცირესობების კულტურული ძეგლების აღრიცხვა და ინვენტარიზაცია | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო | 2009-2014 |
| | 2.1.2 | ძეგლების რესტავრაცია | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და | 2009-2014 |
| | | | სპორტის სამინისტრო | |

| | | | | | |
|--|-------|--|--|-----------|--|
| | 2.1.3 | თბილისის პანთეონებისა და ხელოვნების ძეგლების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობის პროგრამა: თბილისში არსებული პანთეონების, მათ შორის სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მოვლა-პატრონობა და დაცვა | თბილისის მერია | 2009-2014 | |
| ამოცანა №3 | | | | | |
| ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორის იდიალოგიისა და კავშირების ხელშეწყობა | | საშუალო სკოლებში ტოლერანტობის, როგორც საგნის, დანერგვა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ | 2009-2014 | |
| ამოცანა №4 | | | | | |
| ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის | 1) | თოქ-შოუ „იტალიური ეზო“ | საზოგადოებრივი მაუწყებელი, გაეროს ასოციაცია, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში | 2009-2014 | |
| | 2) | დოკუმენტური ფილმების ციკლი „მრავალეროვანი საქართველო“ | საზოგადოებრივი მაუწყებელი, გაეროს ასოციაცია, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | 2009-2014 | |

| | | | | |
|---|--|--|-----------|--|
| კულტურულ ღირებულებებზე მათი წარმოჩენა | | (USAID) – საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში | | |
| | | | | |
| | 3) საავტორო გადაცემა „ჩვენი საქართველო“ | საზოგადოებრივი რადიო FM 102.4 | 2009-2014 | |